

6991

11-12

1916 წელი საბჭოთა კულტურის  
მდგრადი განვითარების დღე

# საბჭოთა კულტურის მდგრადი განვითარების დღე

საბჭოთა კულტურის  
მდგრადი განვითარების დღე



1916



№ № XI & XII.

მოგრადი განვითარების  
მდგრადი განვითარების დღე



# „ნაკადული“-ს რედაქციაში

და

წიგნ-პორტფოს საზოგადოებრივ რეალის მაღალია იურიკ შემდეგი წიგნია:

- 1) ტომის თავგადახავადი, — თხ. მირკ ტევენისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა, ფასი . . . . . 50 კ.
- 2) ჩას გვიამბობს ოთახი, — თხ. ავენარიუსისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა, ფასი . . . . . 20 კ.
- 3) საყმაწვილო მოთხრობები, — ნინო ნაევშიძის ფასი . 10 კ.
- 4) სერუჯი და მარლეი, — საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკენსისა, თარგმანი ნინო ნაევშიძისა, ფასი . 25 კ.
- 5) დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები პ. ქ. ან-დერსენისა, ერ. სერ. ტომასონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი. . . . . 30 კ.
- 6) ბავშვობა და სიურმე. — მოთხრობა ლევ. ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაევშიძისა, ფასი. . . . . 60 კ.
- 7) ორი მხატვარი, — თარგმანი დ. ევლიანისა, ფასი . . 15 კ.
- 8) სამშობლო ბუნების სარეკ, დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები, — ივანე ელიაშვილისა, ფასი. 30 კ.
- 9) შობა, მოთხრობა გურიის ქართველებიდან, — ნინო ნაევშიძისა, ფასი. . . . . 5 კ.
- 10) ახალგაზრდა მექის სიზმარი და დედი — ეგონისტი, ირი მოთხრობა ლევან უალდისა, თარგმ. ივ. მაჭვარიანისა, ფასი. . . . . 5 კ.
- 11) დათო, — ირ. ევლოშვილისა, დიდების მაძიებელი, თარგმ ალ. შანშიაშვილისა, ფასი. . . . . 5 კ.
- 12) მოთხრობები, — ლაგერლეფისა და სხვა უცხო მწერლებისა. . . . . 5 კ.
- 13) ივანე-არაენი, — 125 დასურათებული, პატრია მოთხრობა, ავტორის სურათით, ალ. მირიანაშვილისა, ფასი. . . . . 75 კ.
- 14) ბიძა თომას ქოხი, — რომანი ბიჩერ-სტოუს ზანგო განთავისუფლების ტროისა, სურათებით და ბიოგრაფიით, თარგმანი მ. კლიმიაშვილისა. 1 მ. 25 კ.

## შინააღმდეგი

I—ლეიტისმშობელი ყრმით,—სურათი.	1
II—თოვლის ფიფქი,—ლექსი დ. ედონზიშვილისა.	3
III—სოფლის ყარაულები,—ურანული კ—ს.	5
IV—მოგონებანი,—(შესამე თავის დასასრული) გამრავლებაშვილის.	11
V—უცხო ქვეყანას დილხანს ვიყავი,—ლექსი დ. ედონზიშვილისა.	29
VI—ელიკოს ალბომში,—ლექსი შიმქრალის.	30
VII—ბავშვთა სამეცო,—პიესა გლახაშვილისა.	51
VIII—თოვლის ფიფქი ვარსკელავა,—გაგრ ნათაძის.	57
IX—მეფე მურზაბიი,— სამეცნიელოში ჩაწერილი ზღაპარი თასები ქაფუშაძის შივრ ...	62
X—მფრინავი თევზი,—იგავი ა. სიხარულიძისა.	73
XI—ორი ალმასი,—თარგმანი ქლ. ჭავჭავაძის.	71
XII—ნიკოლოზ ბარათაშვილი,—ჭავ. გასრაძისა.	89
XIII—ჩეენი სამშობლოს წყლები: ბაზალეთის ტბა,—ა. ხუციშვილისა ..	77
XIV—გასართობი:—ძველი ამბები, გამოცანები და რებუსის ახსნა ..	64



## თოვლის ფიფქი

(აზრი აღებულია)

I

თვალუწვდენელია კლდისა მწვერვალზე,  
სად მარიად თოვლი მხეზე ბრჭყვიალებს,  
და ფრთა-ძლიერი, მარდი არწივი  
ზეცას შეჰქიცის და შესტრფიალებს,—

თოვლისა ფიფქი გაგვიგულისდა,  
სთქვა: მომეწყინა აქ ყოფნა მარიად;  
უნდა დაეტოვო ეს არემაზე  
და ახლა ეწენიო—რა მდგრად და განათლებობის მისამართი

მოსწყდა მოძმებს, დაპერდა ქვეით,  
კლდისა ნაპრალზე მოპერდებს ქელა,  
გზაზე იზრდება... და, პა, შეპხეცეთ—  
უკვე შეიქნა ვეებერთელა.

კლდის ძირას სოფელს თავს გადაევლა,  
ზვავად შექმნილი, გახელებული:  
მირევე-მორევეა ბალ-ვენახები,  
მწვანე ფოთლებით კოხტად შემკული.

თავზარი დასცა დიდს და პატარის...  
ხმ თ-ძროხამ შექმნა მწარედ ბლავილი...  
უნ ეის გაასწრობს... უგნოდ გარბიან...  
დედამ დაპერგა თავისი შეილი.



## II

მიწყნარდა ყველგან... მთელი მიღამო  
მკვდართა სამეფოს დამზგავსებია;  
ველარსად ვხედავთ კოხტა ქოხებსა,  
ალარც სჩანს სოფლის ვიწრო გზებია.

## III

აფერ გათენდა მეორე დილა;  
მზემ ცით დაიწყო ცურვა, პრიალი;  
კლდით გადმოშეკდარმა ანცმა წყარომა  
იწყო დუღუნი, იწყო ჩქრიალი.

ზეავი შეშინდა... აეწვა კანი;  
მწარედ დაიწყო გმინვა და კვნესა...  
ჯანი ელევა საცოდავს ნელა,  
და ეთხოვება ბრწყინვალე დღესა.

ღ. კლიმაზაშვილი.



# სოფლის „ყარაულები“

(ვუძღვინ ჩემ პატარა ძმისწულებს  
მართს, გოგოს, ელექტრს)

შარშან შობის წინა ღამეს „ყარაულში“  
გახლდით... ის იყო ბუხართან მოკე-  
ცილები ვახშამს ვათავებდით,—მამაჩემ-  
მა კიდევაც გამოსცალა სალვიის შვილ-  
ო, და მე მოთავებულ ლობიო-შექა-  
მანდის ჯამს თითით ლოკვა და ტელე-  
პა დაუწყე, რომ იასაულმა შემომძა-  
ხა:—რიგი შენია-ყარაულში გამოდიო!

მეზარებოდა ბედნიერი ღამის ცის  
ჰეჭე გატარება, მაგრამ რას ვიზამდი:  
ვალს ვადახდა უნდა. წამოვისხი მაზა-  
რა, კომბალი ამოვიდე იღლიაში და  
გაეწიე. იძვე ჩენი კალოს პირას  
ოთხი სხვა ყარაული იდგა, რომ-  
ლებიც მე მელოდებოდნენ. რომ  
მიუახლოვდი, ერთი მათგანი  
უამბობდა დანარჩენთ:

— რომ იცოდეთ, ბი-

ჭებო, პანტელაანთ სოსის  
წყაროზე წელან ბინდისას  
ორი საეჭვო კაცი უნა-  
ხდს. უთუოდ საქურდლად  
იქნებიან მოსულნი, მე და  
ჩემშა ღმერთშა.



— ი არამზადები, როგორ დაგვიგულებენ ხოლმერას სტრატეგიას დროს შეცვირევენ, როცა კაცი არხეინად ყურზე შეჩრდეს...

— მაშა, კაცო, ირემაანთ კიკას კამერები სწორედ მობის წინა ღამეს გააქრეს ი შეჩვენებულებმა...

— ეგ კი არა, ბიჭებო, ვინ იცის ი ეშმაკის კერძები სულ თავით-ფეხებამდე შეალმასებულები არიან, და კეტებით რას დავაკლებთ! ხანჯლები რო ვიშოვოთ, ურიგო არ იქნება.

— თქმა იყო და გაგონება! ახლავე დავიშალნეთ ჩვენ-ჩვენ სახლებში, და ვისაც როგორ შეეძლოს, ისე შეიარაღ-დეს... სთქვა ჩვენში ცველაზედ უფროსმა ვანებმ და ჩვენც უმაღ დავიშალენით.

— ისევ აქ შევიყარნეთ, ბიჭებო! არ დაიგვიანოთ, თო-რებ ისე შემოგვეპარებიან სოფელში, რო ვერც-კი გვიგოთ!.. მივაძახე მიმავალ ამხანაგებს და შევტრიალდი სახლში...

რამდენი ვეხვეწერ მამაჩემს — პაპიჩემის ნაქონი თოვი მოე-ცა; აუხსენი, უაშე ქურდების ამბავი, მაგრამ არ იქნა, პირ-ავარი ვერ დავაწერინე, — დაეანგებულია, ლულა გასკდება და უბედურებას რასმეს შემამთხვევო. მეტი გზა არა მქონ-და, ისევ ნაპაპის-პაპისეული, პრტყელპირა, წვერ-მოტებილი, ეანგისაგან გაშავებული, უქარქაშო ხანჯალი გავირჩე ქამარ-ში და მოველ დანიშნულ ადგილზე. მალე ცველანი მოგ-როვდნენ.

კვახის ბიჭს \*) ვერაფერი ეპოენა სამჭრელო და შემფუ-რი წამოელო; დაბახის ბიჭს გატეხილი ნამგალი ამოედლია-ვებინა; ტაპქია ბიჭს — ცული; მხოლოდ ჯახას ბიჭი ცველა-ზე უკეთესად შეიარაღებული მოვიდა.

— დედას უტორებ, შიგ შუბლში ვტკიცავ!.. მედიდური კვებნით მოგვიახლოვდა იგი და გრძელი, ექვს კუთხიანი და ტურ-მომსხვეოლო ლულიანი თოფი ჰაერში შეატრიალო...

\*) მეტი სახელია.



— კეტიც წამოიღე, სიკა, თორემ ეს კავიანის პირებისა და ერთ გაცლაზე გეყოფა, და მერე რაღას იზამ?..

— მერე?.. მერე—აი!...—აქ სიკამ, ჯახას ბიჭად წოდებულმა, თოფი ლულით თავისკენ მოიბრუნა, კონდახი მაღლა ასწია და მოვეილერა... ამით გვაჩვენა—თოფს კეტივით ვიხშარო.

ასე თუ ისე, ვანე მეთაურიად ამოვიტჩიეთ. რომ არ ავრეულ-დავრეულიყვით, ყველას ვანესთვის უნდა გვეგდო უური. დავიფიცეთ—გაუშერეს ხეალინდელი ბედნიერი დღე, ვინც შემინდეს და გამოიქცესო. და გაესწიეთ წყაროსკენ, სადაც ქურდები გვეგულებოდნენ...

\* \* \*

ჩვენი სოფლის სამხრეთ-დასავლეთის განაპირა მთარე, მტკვრის პირას, ნერგნარს წარმოადგენს. ამ ქვა-კლდიან ფერ-ლობზე მხოლოდ ნერგი, კაქაში და ჰინკარი ხეირობს, ისიც უხვი წყაროების მიღლით.

აქ ვითომც და საგანგებოდ ცულით ღრმად გაპობილ სიპი კლდიან მკლავის სისხოდ გაღმოჩერიალებს ან კარა წყარო. ცელქი წყარო ერთი საეკნის სიმილონდან ისეთი სიმძლავრით ეხეთქება ძირს იატაკივით დაფენილ პიტალო კლდეს და ახმაურებს მას, რომ გეგონებათ—ვიღაცა კლდეში ზის და ღოლსა სცემსო. ტყუილად'კი არ იძახიან ჩეენებურები: ჩვენს წყაროზე ეშმაკები ღოლს უკრავენო.

საშიშ ადგილს წარმოადგენს ამ წყაროს მიღდმო; მეტა-დრე ნათელს ღამეში, როცა მთელს არე-მარეს ბაღიში მთვარე დაპირავშებს; მაშინ აქ ხშირსა და სქლად ატებილ ნერგნარ-კაქაშეულის უდაბნოში უკუნეთია გამეფებული. წყნარ, მშვიდ ღამეში, როცა ოფლში ნაწური სოფლელნი ძილით ძლებიან და ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სდგას, მაშინ აქ წყაროს ღოლი და მტკვარში გადაწოლილ ნერგის ტოტების

ტლაშუნი შიშის ზარსა სცემს ადამიანს და დიახაც ულთა ბუდეთ სთვლიან ჩვენებურები ამ მიღამოს.

ამ სწორედ აქ ენახა ჩვენ სოსიკას ორი ქურდი, და ცხადი იყო ჩვენთვის, რომ კეთილის განზრახვით არ იქნებოდნენ მოსულნი და ამისთანა ადგილს დამალულნი...

მიუახლოვდით თუ არა ბილიკს, რომელიც სოფლიდან წყაროსკენ ჩასდევს, ყველანი წავწერით და ლოდებს ამოვეფარენით.

— სიკა, შენ ნაპირისკენ მიიწი: თოფი არ გასკდეს და უბედურება რამე არ დატრიალდეს... უბრძანა ვანემ ჯახას ბიჭს. ამ უკანასკნელმაც უმაღ ასრულა წინაშეძლვრის ბრძანება და ჩვენგან ცოტა მოშორებით გადაფოფხდა.

უმ, რა კარგია ჩვენი სოფელი, როცა ჩვენი ქვეყნის კეკლული ბუნება მოირთობა და გაცისკროვნებული მოევლინება; როცა ცის ტატნობი მოციმიმე ვარსკვლავებით მოიქარება; როცა ბაღრი მთვარე მეურულ დაბრძანდება განუსაძღვრელ სივრცეში და მისი მყრთალი სხივები მტკვრის ზანტად მოდულუნე ტალღებში ქანაობენ... მაშინ, ოს, როგორ ხარობს სული!.. გული ფრთხება პშლის და გონება საღლაც შორს, ტკბილი ოცნების უზომო სივრცეში სწრაფად მივქრის...

ჩვენ კი იმ ღამეს დაძაფრული კისრები და ქუთუთოებიდან გადმოცვივნული თვალები წყაროსკენ მიგვეცყრო და მისი დოლის ხმა ჩვენი შემკრთალი გულის ცემასთან ერთად მძიმე უროსევით სცემდა თავში ტვინს... ქურდებს ველოდით...

— ალ-ქაჯი, ბიჭებო!.. — ჩიურჩულით ვეითხრა ვანემ.

— არიქათ!.. — იღრიალა პეტრემ. იფეთქა სიკას თოვემა... იყიფელა ალ-ქაჯმა...

\* \* \*

არ ვიცი, ვინ სად შეაფარა თავი; მე კი ვიღაცას საბძელში საყვევილან გადავძევრი და ბზეში წავყავი თავი, მაგ-



რამ რკალივით მოხრილი, ჯოხით ხელში, ბებერი დეჭარ და გამოცხადებული იღ-ქაჯი სულ თვალშინ მეღვა და ში-შისაგან ცეკვალებდი. როგორც იყო გავათენე ღამე, რიგ-რიგზე გამოვდევრი სამალივიდან და სახლისკენ გავსწიო. მაგრამ ნეტა ფეხი მომტეხოდა, ან ის დღე არ გამოენებოდა.

შევალე თუ ირა კარგი, მამაჩემმა, ბეღნიერი დღის მო-ლოცვის მაგიერ, რაც ჩვეულებად ჰქონდა, შემომიტია და ასე მოშვართა:

— თქვე გასაწყვეტებო, რამ აგიხვიათ ევ დასაბრძოვებე-ლი თვეოლები და ქრისტიანი იდამიანი ქაჯისაგან ვერ გაარ-ჩიეთ!.. გასწი ახლავე ეკლესიაში, ღმერთს შევვედრე—გაპა-ტიოს ცოდვა, თორებ ასეთ ბეღნიერ დღეს აგეთი ცოდვა არც ღვთისაგან არის საპატივებელი და არც კაცისაგან.

— რა ვწნა, რა აშაგია, რაზე მიწყველი შეილს ამ ბეღ-ნიერ დღეს?!. გამოშესარჩილი დედაჩემი, რომელიც კიდობან-ში მარნიდან გამოტანილ პურს აწყობდა.

— რაზე და რომ მიწამ შექამოს ახლანდელი ახალ-გაზდები!..— კვლავ დაიწყევლა მამაჩემმა. პატარას შეჩერდა, თითქოს ეზარება რაღაცას თქმა, და მერე ისევ განვგრძო:

— წუხელი ყარაულში ბრძანდებოდნენ — ეს ჩვენი ვაჭ-ბატონი, კვახის ბიჭი, დაბახის ბიჭი, ტაპჭია ბიჭი და ჯახას ბიჭი. შეყრილიყვნენ ლაწირაკები. ვიღოცები უნახავთ წყა-როზე. უფიქრიათ — საქურდლად იქნებიან მოსულნიო; შეია-რაღებულან და ჩასაფრებიან. ბილიკზე-კი ბებერი დეჭარი დეჭარაც დაუნახავთ, ალქაჯი ჰგონებიათ, თოფი უსროლით და საცო-დავი თათოს ქალი კლდეზე გადაუჩეხიათ...

— ღმერთო დამიფარე, ქა!.. ადამიანო, თათოს ქალს შუა-ლამისას წყაროზე რა უნდოდა?!.. გაოცებული, პირჯვრის წერით შეეკითხა დედაჩემი.

— რა უნდოდა... რა უნდა სდომებოდა... თითქოს არ იცოდე, რომ წვითა და დაგვით გამოზარდა ერთი შეილი... პო და, ვასუასაგან წერილი მოსცლია. ტყველ წაუყვანიათ

გერმანელებს, და იქიდან თურმე იწერება საწყალ့<sup>ပါန်ဆုတ်</sup> လით სული მძერება, ხმელი პური გიმომიგ့ုံး<sup>ပါ</sup> ვნერთ... .

კავანთ ივანემ გვიაშბო, — უქმე დღეებში რომ მოატა-  
ნეს, უბედურმა თურმე აიტეხა — ცხრა မთას გადვივლი, სულ  
ღმმ-ღმმბით ვიელი კლდე-ლრეებში, რომ სულიერში ადა-  
მიანმა არ დამინახოს, ისე შევიპარები ვერმანიაში და ჩემ  
პასუხს ვასუხს მიუტანო... კუაზე შერყეულა საცოდავი...

მართლაც გამოუტွေი ნაზუქის ბასილა, ჯიბე კვიწი  
ხახვით გაუვსია და ალბად სოფელზე ჩိုလის მოერიდა, ყა-  
რაულებმა არ შემამინიონო, და ბაქთის სერით \*) ბილიკზედ  
წასულა. წყაროსთან რომ მიუტანებია, ბიქებს დაუნახეთ, ალ-  
ქაჯი ჰგონებიათ და თოფი უსროლიათ. საწყალს ერთი-კი და-  
უკივლია და გულ-გახეთქილი კლდეზე გადაჩეხილა... ძირო-  
ბაზელ\*\*) იპოვეს... საწყალს ბასილა ხელში ეჭირა ისევ...

\* \*

წარმოიდგინეთ ჩემი გულის წუხილი, საყვარელო მეით-  
ხველო. ლხინისა და სიცილის მაგიერ ჩვენ სოფელში შარშან  
შობა დღეს ტირილი და გოდება იდგა. ყველის უფრო იმაზე  
გვიკვდებოდა გული, რომ საწყალ თათოს ქალის ერთად-ერთი  
შვილი იქ უცხო ქვეყანაში იტანჯებოდა, და აქ კი ჩვენის  
უგუნურობით დედა მოუკალით... სინიდისის ქენჯნა უთუოდ  
მოვვილა აქამდე, რომ უპატრონოდ დაგდებულ ვასუხს  
დედულ-მამულს და სახლ-კარ ხარ-კამერს ჩვენის თვალის ჩი-  
ნივით არ ვუკლიდეთ, რომ ეგები, როცა ოში გათავდება და  
ვასო სოფელში დაბრუნდება, საყვარელ დედის მაგიერ საყვა-  
რელი კერა მაინც დახვდეს გაუოხრებელი...

უბინებდა ვ-



\*) გორავის სახელია.

\*\*) მაღალი კლდის ქვეშ მდინარის ნაპირი.



## მოგონებანი

3.

### სოფლის ხეოლაში

(შემდეგი)



იყვარდა გაზაფხული, შაგრამ არა  
ნაკლებ შიყვარდა ზამთარიც. პირ-  
ველი თუ იტაცებდა ჩემ ოცნებას,  
ასხამდა ფრთებს და აფერადებდა მას  
საუცხოოდ, არა ნაკლებ შისიმზა-  
ნებდა მეორეც თავისი სინამდვილით.

საზღვარი არა ჰქონდა ჩემ აღტაცებას, როცა დილით გატო-  
ვიდოდი გარედ და დავინახავდი ყველაფერს, ფიფქ თოვლით  
დაფარულს და მოკაზმულს. საზღაპრო მოხუცები მიღებო-  
დნენ თვალ წინ, როცა ვხედავდი თეთრ სამოსელში გახვეულ  
ხეებს, რომლებზედაც შიყვარდა ზაფხულში ასელა და  
რომელთაც ახლა უძლიურად დაუშევით ტოტები და მოუხ-  
რიათ ქედი ძლევა-მოსილ ზამთრის წინაშე. ღრუბელთ მო-  
რევში მცურავი დაუძლიურებული მზის ლანდი სევდით და  
გლოვით გადმოჰყურებს ქვეყანას, თითქო მწარედ დასტირის  
ყოფილ ძლიერებას,—დასტირის, რომ არ ძაღლებს სხივთა  
ისრებით დაფლითოს ზამთრის სამოსელი, მიესალმოს დედა-  
მიწას, მიულოცოს განთავისუფლება და მიუთითოს სიცოცხ-

ლისაკენ,—დასტირის, რომ იმის სხვების მაგირ უთქმდებოდა... მსუბუქი „პანტლები“ ირევიან და თამაშობენ ციფ ჰელ რი... მოწყენილი მიღმო...

წერილ ჩიტუნებს სიცივისაგან ჩამოუყრიათ ფრთები და მწარედ წივიან—ესაყვედურებიან მკაცრ ზამთარს; მშიერი ზაშვები მხიარული ჭუკეჭუკით ეხვევიან სუროს და ძლებიან იმის კურკებს; თავწითელი კოდალი დაერინებით უკაკუნებს თხემლის ხელ წვეროს, თითქო ეძინის ზაფხულის თბილსა და უხვ დღეებს.

თუ უქმე იყო და სკოლიდან თავისუფალი ვიყავი, ასეთ დღეს სახლში ვერავინ დამაკავებდა: მოეირთვებოდი საზამთროდ და სხვა მწყემსებთან ერთად მიკრეკავდი თხებს ტყეში საძოვრიად; კვლავ მაგონდებოდა მწყემსობა და მაღლობილან ვეგზავნიდი სალამს სუფსის გადათეთრებულ მიღამოს. თხები მლიეს აპობდნენ თოვლს და გვითელავდნენ გზას. ჩვენი წიგილ-კიფილი და მხიარული კისეინი შორს ისმოდა და აღვიძებდა ტყეს. არა ნაკლებ მხიარულობდა ჩემი მურია, რომელიც ცეფით ხტოდა და გორծობდა ფიცქ თოვლში.

ხშირად შეგნედებოდა ხოლმე დაჭანცული კურდლელი და ბევრს უსიამოვნებას ვაჩვენებდით საბრალოს, თუმცა დაკერა ხომ არ შეგვეძლო: კიფილი, სტენა, მურიას გაფთრებული ყეფა და ჯავრისაგან კრუსუნი, ჩვენი თოვლში ცურაობა და ფუმფლვა—ყველა ეს შიშის ზარს სცემდა იმას.

ჩაესეოდნენ თუ არა შშიერი თხები წყავნარში და ხარბად დაიწყებდნენ ძოვის, ჩვენ მოვნახავდით ტყეში ხელ ფულუროიან ხეს, შეუნთებდით ცეცხლს, შემოვეხვეოდით გარშემო და სიმღერით ვიკლებდით იქაურობას.

ძალიან მიყვარდა, როცა საღამო ეამს დუმილი მოიცავდა ტყეს; თოვლით დატვირთული ხეები ზოგჯერ აირეკლნენ ხოლმე; მაშინ კენესისებური ხმა ვრცელდებოდა ტყის სილრ-მიღან და უფრო უმატებდა საიდუმლოებას გამეფებულ დუმილს... აგერ-აგერ მოისმოდა რაღაც ფრინველის გულშემა-



რიცი წიცილი... ქვემოდ, ჩაბნელებულ ხრამში, განუწყვეტილია  
ლიკ ჩუხჩუხებდა პატარა ღელე—ჩუხჩუხებდა და ხმაურობდა,  
თითქო უნდოდა დაერლვია დუმილი და ეთქვა, რომ ის კვლავ  
ცოცხალია და ძლიერი, რომ კვლავ მოელის გაზაფხულის  
დღეებს და იმედობს, რომ კვლავ იხილავს ბალახ-ყვავილებით  
აქარგულ ნაპირებს და ჩიცირივს ბროლის გულში შუალის  
სხივებს... ჩამავალი მზე წითელ ზოლს აკრის ცის კიდეს და  
მსწრაფლ იმალება. ნელ-ნელი ეშვება დედამიწაზე ლამე,  
შლის შევ ფრთხებს და აფარებს ბუნებას, თითქო ცდილობს  
არ მოჰკრას მან თვალი ჩამავალ მზეს, არ მოიგონოს მშვე-  
ნიერი წარსული და არ იგლოვოს ყოფილი ბედნიერება.  
ბნელდება ტყეში. გაუბედავად ჭიკის საღლაც ტურა. ეძინება  
დასამარებულ დედამიწას.

შიყვარდა ზამთრის კრიალა დილა, ამოგორებული მზე,  
სხივების თამაში თოვლზე და შეწითლებული მწვერვალები.

შიყვარდა ზამთრის ლაშეც, როცა დაფიქრებული მთვა-  
რე საუცხოო სურათებს ხატავდა თოვლზე ხის ტოტებით...  
ასეთ ლამეებს ხშირად თითქმის ვათენებდი გარედ, მახლობელ  
კობში: იქ მახე მქონდა დაგებული წყლის-ქითამისთვის და,  
როცა სიხლში ყველანი დაძინებდნენ, ჩუმად ვდგებოდი და  
მიეკპარებოდი საღარაჯოდ.

მეორე მხრითაც მომწონდა ზამთარი: იმის თან მოჰკონ-  
და სხვა-და-სხვა დღესასწაულები.

როცა შობა მოხლოვდებოდა, სულ დღეების თვლაში  
ვიყავით ბაგშვები და ხვეწნა-ტირილით ვაჩქარებდით დედას  
ჩვენთვის ახალი ტანსაცმელი შეეცერა.

შობის დადგომაზე ასეთი წარმოდგენა გვექონდა ბავ-  
შვებს:

შეიქნება თუ არა შუალამე, და ჩაეძინებათ სოფლებს,  
აქარა-გურიის მთების ერთ-ერთ მწვერვალიდან გადმოტრინ-  
დება მნითობი ანგელოზი, გადაუვლის მძინარე ქსეუანის, მერე



დგებოდა თავისთვეად: მნათობი ანგელოზი არ იღებდა მუწიწაუკა  
წილებას...

შობას მოსდევდა ახალი წელი—კალანდა და თან მოჭ-  
ქონდა ჩიჩილავი, ხაჭაპურები, მსუქანი ღორები, ქათმები,  
ინდუსტრები, თოფების გრიალი და საერთო მხიარულება. ამ  
დღეს ჩვენს ოჯახში ყველაფერი იცვლებოდა; როგორ შეგ-  
ვეძლო ტირილი, წყვევლა, გინება, რამე ნადირის, ავათმყო-  
ფობის და სხვა ცუდი რამის სხენება, ან შეძლეულ კერძის  
დაწუნება და ხარბობა,—ყველა ეს წინდლიდან აკრძალული  
გვქონდა მამისაგან:

— კალანდას რომ ცუდი რამე შეემოხვას ადამიანს, მოკ-  
ლი წლის განმავლობაში ვერ აიცდებს იმას თავიდანო,—  
გვაფთრისილებდა მამა.

— ნეტავი ყოველ დღე კალანდა იყოს! — ვნატრობდით  
ბავშვები, როცა მაძღარი ვიყავით, ყველაფერს ბლომად ვხე-  
დავდით, ახალი ტანსაცმელიც გვიცვა და მშობლებიც მხია-  
რულობდნენ და გვეალერსებოდნენ.

იმათ მხოლოდ ერთი რაზ აწუხებდა: ანანია არ იყო  
სახლში—ის უკვე სამსახურში იყო და სადღაც შორს ცხოვ-  
რობდა.

— ვაიმე, შეიღო, ვინ იცის, რა კალანდა გავითენდა  
შენ დღეს,—ამოიოხრებდა დედა და ველარ შეიკავებდა ცრემ-  
ლებს.

— რა გატირებს, ქალო... ღმერთმა დაგვიფაროს სატი-  
რალისაგან! — იმაღლებდა მამა ხმას, თუმცა ეტყობოდა, რომ  
იმასაც უმწევილდებოდა გული — კონა-მამულიე, მონახე უკანას-  
კნელი წერილი, კიდევ წაგვიკითხე ერთი, — მეუბნებოდა ჩა-  
მა.

„ბულბულო, გაფრინდი ჩვენს ქვეყანაში და იქ მხიარულად  
იგალობე“, — ასე ათავებდა ანანია წერილს, და ეს ხი-  
ტყვები მეც მიწევილებდა გულს და მიაშეარავებდა სიყვარელ  
ძმის დარღს და სევდას უცხო ქვეყანაში,

— მერე ოგია სწოვლის ბეღნიერება?... უკელაფეზზე არა შეიტყოვ—იმან შოთა ანანია ლჯახს... და მერე მეცი... არ ვისწოვლი, არა,— ვამბობდი გულში და ვიგონებდი სკოლას.

— კოჩა-შამულიყ, ახლა მე თოხით ყანაში წავალ სამუშაოდ. შენც რამე წაიკითხე და დასწერე. კალანდას რომ ჯაფით შევხედებით, ყოველთვის ნაყოფიერი მუშაობა ვვეჩნება,— მაწყვეტინებობა მამა ფიქრებს და მართლაც მიდიოდა ვითომდა სათოხხად და სათესად ფიცქ თოვლში.

მეც ვჯდებოდი და წერილს ვთხხავდი ანანიასთან; წერილში აუცილებლად ვეტებნებოდი ბულბულს, რომ გაფრინილიყო შორ შხარეს, სადაც ანანია იყო, იქ წიმომჯდარიყო ხის წვეროზე და შხიარულად ეგალობა. წერილში კიდევაც ვხატავდი ბულბულს, რომელიც ჩემ შხატვრობაში ფრთა-მოტებილ იხს უფრო წააგავდა...

რაც უნდა ფთხილად კყოფილიყავით, კალანდა—დღეს მაშის მაინც გავაჯვერებდით რითიმე. სულ რო მგლის ან ტურის ხსენება ყოფილიყო:

— თუ იცი, ტურებს ექვთ დღეს კალანდა?— მეკითხებოდა ჰარარა და.

— რა ტურების კალანდა?— ტურებს თავის გახეთქა და სიკელილი,— ვავრცელებდი და ვაფართოვებდი შე პასუხს.

ენა-თვალების შემონათებით გვიყვიროდა მამა და მარტო ამით კმიუოფილდებოდა: უფრო საგრძნობელ ზომები-საგან უზრუნველყოფილი ვაყავით, რადგან კალანდა იყო.

აღამიანის სხვა-და-სხვა დღესასწაულების გარდა, პირუ-ტყვების დღესასწარლებსაც ვიხდიდით ხოლმე: თხების, ლორების, ძროხების და ხარების. ყველაზე უფრო მე უკანასკნელების „დღეობა“ შომწონდა—ილორობა. საღამოს მთელი ოჯახობით შევიღოდით ბოსელში და ვულოცავდით შავგულას და წიქარას, ძროხას და ხბოს; ვუსურვებდით ჯანმთელობის და გამრავლებას; მერე ყველას მივაკრავდით რქებზე

ანთებულ სანთლებს და ვევედრებოდით წმინდა უფლებული უნდა გენახათ, როგორ დინჯად ეჭირათ თავი პირუტყვებს აპრიალებულ ბოსელში; მხოლოდ პატარა ხბოს უკვერდა უველაფერი ეს და დიღრონ შავ-შავ თვალებს არ აშორებდა სანთლებს დედის რქებზე. ეს დღესასწაული თავდებოდა იმით, რომ კარგ ვაჩამს ჩვენ მივაძლებოდით,—იმათ კი, ვისიც „დღობა“ იყო, მგონი ჩალაც კი ენატრებოდათ.

შეიარაღდა ვატარებდი დღესასწაულებს; ამიტომაც ისინი შეუმჩნევლად გაიელილნენ, და ძალაუნებურად უნდა მომევონებინა წიგნებით გავსებული ჩანთა. რა ძნელი იყო შეწყვეტილი სწავლის განახლება! დაზარმაცებული, ცველაფერი დავიწყებული, მოცემული გაკვეთილი მოუმშადებელი....

— შენ, წიკეთხე ზეპირად „ხილთა ქება“, — იწვევს მასწავლებელი რომელსამე ბავშვს. თვითონ ფანჯარაში იყურება, ფრჩხილით ქბილს იფხექს და ელოდება.

— ხილთა ქება, — გაბედულად იწყებს ბავშვი, მაგრამ მეორე სიტყვაზე ეკარგება ხმა: — მარწყვმა სოქვა... ჰა... ვე... მარწყვმა სოქვა...

— რა შენი დალუპვა სოქვა მარწყვმა, რაი? — მკვაბედ ეკითხება მასწავლებელი, მშიერი ქორივით უცქერის ეკან კალებულ ბავშვს და ემზადება...

ვიგონებდი ასეთ შემთხვევებს სკოლის ცხოვრებიდან და მით უფრო მენელებოდა იქ წასელა... მაგრამ წაუსვლებობა ხომ შეუძლებელი იყო.

სწავლაზე მე ჯერ კიდევ არ მქონდა გარკვეული შეხედულება; მხოლოდ ეს კი ვიცოდი, რომ ნასწავლი კაცი უსათუოდ უნდა გადაეკარგულიყო სიდღაც უცხო ქვეყანაში და იქ მოეწყო ბედნიერი ცხოვრება; და თუ რომელიმეს ბედი არგუნებდა სამშობლოში დარჩენას და სამსახურის შოვნის, იმას აუცილებლად უნდა დაემსახურებინა ცუდი სახელი და საერთო სიძულვილი: ასეთ მაგალითად მედგა თვალ-წინ პახუმ-მწერალი.

მაშა კი ხშირად მიმეორებდა:

თერთი განცხადების  
გვიპარების

— კონა-მამულიე, შენ სასარგებლო და სახელმიწანი კა-  
ცი უნდა გამოხვიდო.

— ვინ უნდა გამოვიდე მე? რითი შემიძლია შევიქნე  
სახელმიწანი და სასარგებლო? — ასე ვეყითხებოდი ჩემ თავს,  
მაგრამ პასუხის მიუწმა არ ძალმიძღვდა და განვაგრძობდი სკო-  
ლაში სიარულს.

ერთი ვინმე მიმზიდველი მაინც ხომ მყავდა იქ.

რა თქმა უნდა, ეს იყო მართ.

იყო ერთად-ერთი მოხუცებული აღამიანი, რომელსაც  
მეტის-მეტად სტკიოდა გული ანანიაზე და ჩემზე და ეშინო-  
და ჩვენი დაკარგვის და გარუსების.

— ორი ვარი მოგცა უფალმა ამდენი გოგოვების პატ-  
რონს და ორივე მოგიცილებია ოჯახისათვის... ხომ არ გინ-  
და დაკარგო და გადააგვარო, გაარუსო? — ასე ესაყველურე-  
ბოდა ის მამის.

ეს იყო ბებია ჩემი, დედის დედა. მეტის-მეტი ლეთის  
მოყვარე, კეთილი, ყოველი გაჭირებულის შემბრალებელი და  
გულ-შემატკივარი, ბევრი ვაი-ვაგლახის გამოცდილი და კო-  
ხალი, პრაჭერიკული ტკუის პატრონი, მამა-პაპური ზე-ჩვეუ-  
ლების ერთგული შემნახველი და მოთაყვანე, — ასეთი იყო  
ბებია და საერთო პატივის სუმა და „ხალხის დედის“ სახელიც  
ჰქონდა დამსახურებული.

ის ცხოვრობდა მარტო პატარა გაჭვარტლულ ქოხში.  
დედა და მამა ხშირად სთხოვდნენ ჩეკვიან გადმოსულიყო,  
მაგრამ არ სთანხმდებოდა.

— არა, შეიღო, ვერ მოვშორდები ამ ქოხს... სადაც  
ქმარ-შეიღო დამხოცია, იქ უნდა მოვკვდე... რად ვეძებო  
სიბერის დღეს ახალი ბინა, — უპასუხებდა ხოლმე.

ნამდვილი დღესასწაული იყო ჩეკვიანის, ბავშვებისათვის,  
როცა ბებია გვესტურებოდა. შორიდან დავინახედით შავებში

ჩაძამულს, ნელა მომავალს, სიხარულის ყვირილით გავიწერ—  
დით შესახვედრად და შემოვეხვევოდით; ის ყველას მოგვეა-  
ლერსებოდა, იქვე ამოალავებდა მრივალ-რიცხვეან ჯიბეები-  
დან, რამე საჩუქრებს დაგვირიგებდა; ვის პურის ნაკერი შეხვ-  
დებოდა, ვის ზაქრის ნატეხი და ვის გოჭის ფეხი: ბებია სამი-  
თხი სოფლის „ბებია-ქალი“ იყო და ხშირად იწვევდნენ ნათ-  
ლობაში. ნათლობილან აბა უკერძოთ ხომ არ გამოუშვებდ-  
ნენ... ჩვენდა სასიხარულოლ.

— შენ რას შეტები, პატარა რუსო... რამ შეაძულა,  
შეიღო, მამა-შენს ოჯახი, რომ შენც გიშორებს,—თავის  
ქნევით მეუბნებოდა მე და მისვამდა თავზე ხელს.

კუირაში ერთხელ მაინც მივდიოდი ბებიასთან სტუმრად  
და ძლვენიც მიშქონდა—ერთი პატარა ღოვე ღვინო. ღამეებს  
ვათევდი იმასთან.

ხშირად მაგონდება ასეთი სურათი: პატაწეკინა უშუშო  
ლამპა ებრძეის სიბნელეს და ძლივს აშუქებს ქოხს. ჩამერალი  
ცეცხლი ბეუტავს კერასთან და ზოგჯერ გამოიკუეტს ფერფ-  
ლიდან. ციფა. ზურგ-მომწევარი ჭრელი კატა ჩაწოლილა ნა-  
ცარში, მოგრეხილა და განუწყვეტლივ ღურლუნებს. გარედ  
ზუზუნებს, ტირის გაშმაგებული ქარი, აყრის თოვლს კარს;  
ზოგჯერ სიდგანლაც შემოვარდება ქოხში და აშრიალებს  
ისლის სახურავში. ცეცხლს ერთი მხრით მოსჯლომია თავმო-  
ხვეული ბებია, დაუხუჭავს თვალები და ართავს შევ მატყლს:  
მარდი ბზიალებს თითის ტარი და რალაცებს ხატივს ნაცარ-  
ში. მეორე მხრით ვზივარ მე. ძლივს გივათივე ხიჭამურის  
ვებერთელი ნაკერი და ველოდები, როდის ჩამაგორებს ბებია  
თავის რბილ ლოგინში.

— ანანიასაგან არაფერი მიგიღიათ, შეიღო?—უცებ მე-  
კითხება ბებია და ისევ თვალდასუტული განაგრძობს თავის  
საქმეს.

— წერილი მივიღეთ... თუ გინდა წიგიკითხავ—ავერ  
მაქვს ჯიბეში.



— ნასწავლი! ვის არგია შერე მავის სწავლა?... — გადასცილეთია  
ტინა ბებიამ: — მაგისთანა გინდ სახლში ყოფილი და გინდ  
ტყეში... ღმერთი არ სწამს და კაცი არ ებრალება... მიწა  
დავიყარე იმის სწავლის... იმას იმიტომ უსწავლია, რომ მუ-  
ქთად იცხოვროს... არა, შვილო, არა — არ შეგზურდეს იმის  
ცხოვრება. . ეშმაკისაა... შენი ოფლით ნამუშევარი სჯობია...

პახუმ-მწერალის შესახებ ბებია არ ფიქრობდა  
ასე: ყველას ეჯავრებოდა ის, მაგრამ მაინც ყველანი პატივს  
სცემდნენ და პახუმ-ბატონს ეძახდნენ.

— ძალიან ნასწავლია იგი დალუპული — ცხრა წელიწადი  
იყო მწერლად ბოქაულთანთ.

— კაი ნასწავლია, — კი დაგემართოს, მაგრამ ტყავი კი  
გაგვაძრო იმ ოჯახ-დაქცეულმა... ნეტაფი ნაკლები სწავლა  
ჰქონდეს მიღებული, — მაშინ უფრო თავმდაბალი და მეტი სი-  
ნიდისის პატრონი იქნებათ.

— ფუ მაგის კაცობას! მეხი რად არ გასკდა იმ ოჯახ-  
ში, საღაც მაგი დაიბადა და ვართარდა... დასალუპავს „პინ-  
ჯაყია“ თუ რაცხა ამოგდება, იმაზე ორმოცი ჯიბე კი აკერია  
გორჯოლო მანათების ჩიხაკიდებლადო.

— კაი მაღალი ოდა კი გამოკიმა პახუმ-მწერალმა, და  
სხვა რაღაც გინდა. იმისი ცოლი სულ აბრეშუმში ეშრაშუნება,  
გიტარის აპანტურებს და ალილინებს...

როდის იქნება უწიოს ჩვენშა ცოდვამ და დააქციოს მა-  
გის ოჯახიო. ის რა მესმოდა სოფელში და მიკვირდა, რად  
შესძულებით ყველას ნასწავლი კაცი მეთქი.

— ასე ყოფილა: თუ კაცმა ისწავლა, საღლაც უნდა გა-  
დიკარგოს და ბულბული იგზავნოს თავის სამშობლოში. თუ  
ისწავლა და სამშობლოში დარჩი, ყველას უნდა შესძულდეს,—  
ასეთი დასკვნა გამოვიყვანე.

მართალი რომ მოგახსენოთ, მიუხედავად ბების მარტინი და მარტინი გებისა, ერთი მხრით კი შევნატროდი მწერლის ცხოვრებას: ხშირად ვხედავდი, რამდენი ძლვენი მისდომდა იმას!

მამასახლისი ხომ საშიშარი კაცი იყო, მაგრამ იმას როდი მისდომდა იმდენი: იშვიათად მეტყოდა ხოლმე მარო—მამას წუხელ ძლვენი მოართვესო.

— მარო, მამა შენი არაა ნასწავლი?—ვკითხე ერთხელ.

— კითხვა კი იყოს... კარგი ნასწავლი რომ იყოს, მაშინ სულ სხვაფერ იქნებოდა ჩვენი საქმე.

თუ რას ნიშნავდი ეგ „სხვაფერ“, მე, რა თქმა უნდა, ჩემებურად გავიგე.

— ნეტავი ანანიასთან ვიყო,—ვფიქრობდი: — იგი ხომ კარგი ნასწავლია...

.....ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი მაწაფეობის დროს მამა მსაჯულიად იქმნა არჩეული. ამის შემდეგ მე უფრო დიდულად და ამაყად მეტირა თავი ამხანაგებში: ცოტა საქმე ხომ არ იყო—მსაჯულის ვაერ გახლდით! როცა მამა აღიოდა სამშართველოს ინვანზე, ზოგჯერ იმასაც წამოუდგებოდნენ ფეხზე და მოწიწებით აძლევდნენ სალაში. ძალიან მასიამონებლა მე ეს გარემოება და ამით უფრო ვიწონებდი თავს შაროსთან. გულში კი ვამბობდი:

— მარტო თავის დაკვრა და მშრალი პატივისცემა რაა?.. მამაც ხომ მოხელეა... თუ ნასწავლი არაა—კითხვა და კიფრები ხომ იყის...— რატომ „სხვაფერ“ არ უწევენ პატივცემას?.. ერთი რამე მოირსებოდა მაინც, რომ მაროსთან დამკვებენა!

მაგრამ „სხვაფერი“ პატივისცემა არ სჩანდა, და რაღაც სიბრალული მებიადებოდა შეურაცყოფილ და დაფიწყებულ მამისაღმი. გადავწყვიტე, რომ იმის მსაჯულობა გოკების და ხავაპურების მხრით სრულებით უნაყოფო და უსარგებლობა.

მაგრამ ბოლოს, როგორც იყო, მოვესწარი „სხვაფერ“ პატივისცემასაც.

ერთ ზემთრის დღეს,—კვირა იყო,—სალონიში დამტკიცა  
ცუგიბლი ბელურებს. უცებ ვიღაცამ შემოჰყო თავი შიგ და  
„გამარჯობა შენი, ბიძიათ“, —მითხრა.

შევხედე თუ არა—ვიცანი: ამ წითელ-წვერა კაცს ხში-  
რად ვხედავდი სამხართველოში—მუდამ ვიღაცას ქწუბებოდა,  
აგინებდა; ხან ყვიროდა, ხან ტიროდა.

— მამა შენი შინაა, ბიძია?

— დიალ, შინ გახლავს,—ვუპასუხე და კარგად შევხედე,  
რა უჭირავს ხელში-მეთქი.

— აბა, ჩემთ ბიძია, აგი მიართვი... უთხარი—ლობის შე-  
სახებ რომ აქვს საჩივარი, იმან ვაგინედა—ოქვა.

ამ სიტყვებით მომცა რაღაც პატარი ბოხჩა, გაძერა და  
წიფიდა.

კრიმინულით გავიქეცი და ვახირე დედას. უმცროსსა  
დამ მორთო ნააღრევი ტირილი—მე დიდი ნაკერი მომეციო.  
მამა სადღაც წისულიყო. ვამიჯავრდა დედა, როგორ ვაბედე  
აღებოთ, მაგრამ მაინც ვახსნა. შიგ იყო სამი ტარინა (იგიც  
აყროლებული), წყვილი წინდები და წყვილიც ხის ქოშები—  
აღმად შაჯულის მეუღლისათვის!

როცა მოვიდა მამა და ვაძეო, კინალამ სახლიდან ვამო-  
გვრევა ყველანი.

— იმ საწყალს შეიღები ქხოცება სიმშილით .. შეადი  
ვერ უკმერვია, პერანგი ვერ ჩაუცმევია... რათ მინდა მე იმის  
ტარინაი... ოქრო რომ დამიყაროს—მაშინაც არ წავიწყმენდ  
სულსო, — დაიწყო ყვირილი.

ისევ შეაკერვინა დედას „ძლვენი“ და მეორე დღეს წილ-  
ლო სამხართველოში... პატარნის გადასაცემად. ეს იყო და  
ს. მეტი არავითარი „სხეაფერი“ პატივისცემა არ მინახვს.

— მაშ ვინ უნდა ვამოვიდე მე?—კვლავ ვეკითხები ჩემ  
თავს.

— კოჩა მამულიყ, შენ უნდა ისწავლო და სისარგებლო  
და სახელოვანი კაცი ვამოხვიდე, —მაგონდება მამის სიტყვები.  
ვნიხოთ!

— ସିର୍ବୁଳେ, କ୍ରେମ ତାହାରେ ଯାଉ, ଇର୍ଦ୍ଦିଆଲେ... ମାଦ୍ରାସା, ଗବେଷଣାକ୍ଷେତ୍ର—ନାହିଁ ଯାହାରେ ରାଜପତି, ପ୍ରକାଶକ ପାତାକ୍ଷେତ୍ରକିନ୍ତୁ ପିଲାଟିଙ୍ଗ ବିଜ୍ଞାନର ପିଲାଟିଙ୍ଗ... ଏହା ଶବ୍ଦ ଶବ୍ଦ କିମ୍ବା ଶବ୍ଦ... ହେବାନେ ଘରରେ, କୁଠାରେ, ନାନ୍ଦିନୀରେ କିମ୍ବା ଖାତାରେ କିମ୍ବା ତୁ ବିଧିପାତାରେ କିମ୍ବା ତୁ ତାହାର ଅବଳମ୍ବନ କିମ୍ବା ତାହାର କିମ୍ବା... କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା... ତାହାର କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା...

— ଏହା ଗାୟତ୍ରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା?

— ଏହା ଗାୟତ୍ରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା...

— ଏହା ଗାୟତ୍ରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା...

— ଏହା କିମ୍ବା କିମ୍ବା, କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା... ଏହା କିମ୍ବା କିମ୍ବା... ଏହା କିମ୍ବା...

— କାନ୍ତିକା ପାତାକ୍ଷେତ୍ରରେ, କାନ୍ତିକା ପାତାକ୍ଷେତ୍ରରେ, କାନ୍ତିକା ପାତାକ୍ଷେତ୍ରରେ, କାନ୍ତିକା ପାତାକ୍ଷେତ୍ରରେ, କାନ୍ତିକା ପାତାକ୍ଷେତ୍ରରେ...

ତାହାର କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା... କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା... କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା... କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା... କିମ୍ବା କିମ୍ବା... କିମ୍ବା କିମ୍ବା... କିମ୍ବା କିମ୍ବା... କିମ୍ବା କିମ୍ବା... କିମ୍ବା... କିମ୍ବା... କିମ୍ବା...

ଶର୍ଷବ୍ରାନ୍ତିମାସରେ, ଏହାରେ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା... କିମ୍ବା କିମ୍ବା... କିମ୍ବା... କିମ୍ବା... କିମ୍ବା... କିମ୍ବା... କିମ୍ବା... କିମ୍ବା... କିମ୍ବା...



როპირ მენავესთან და ფარნიოზ მეწისქვილესთან, ბევრს ვუმშობდი ამათ ტარიელზე.

— კაი შენს ცხვირს მოუფა — კაი მეგობარი შენ გაგიჩენია, — დამცინოდა ოქტოპირი: — ტატილა-ალლებულის \*) მეტი კაცი ვერ ნახე?... ის თვალები რომ აქვს იმას დაკარჩხლული, ტყუილად როდი აქვს: ეძებს — ვის შევუჭამო დღეს საფილი, სად გაეთიო ლამეო... კაი მეგობარი გყოლია, კა!

მართლაც რომ ალლებული იყო ტარიელი: როდი შეეძლო ერთ ალაგას დადგომა — მედამ მოგზაურობაში უნდა ყოფილიყო. როგორც ახლა ვფიქრობ, იგი იმიტომ კი არ მოგზაურობდა, რომ სამსახურში იყო, პირიქით, იმიტომ მსახურობდა, რომ მოგზაურობის მიზეზი ეშვება. სახლი არ გააჩნდა და კარი. სადაც დაუღამდებოდა — იქვე გაუთვენდებოდა; ზაფხულში თურმე ხშირად ათვევდა ყანებში: ავიდოდა სასიმინდებე, შეძერებოდა შიგ და დილამდი ეძინა. ამიტომაც დასცინოდნენ სოფლელები:

— ტატილა და მისი ნაბადი გამთვებელი ლამისაო.

ხშირად გამოივლიდა ხოლმე ჩვენსას და ლამესაც ითვედა.

— რა იცი, ტარიელ, ახალი? — ეკითხებოდა მამი.

— რა უნდა ვიცოდე, მიძიავ?.. ჩემს სიცოცხლეში სასიკეთო და სასიხარულო არაფერი არ მინახავს ქვეყანაზე... ვათრევ აქეთ-იქით ამ გავიჩვებულ სულს, — ალარ ვაძლევ მოსვენებას ბებერ ძვლებს, მაგრამ ვერ ვნახე და ვერა.

ბოლოს მაინც დაიწყებდა რამებე ლაპარაკეს. აბა მუჭა მივი მოგზაურობა ხომ გამოულეველ სალაპარაკო მასალის აძლევდა. დილამდი რომ გაგრძელებულიყო იმის მოთხოვნა, მე ძილზე ფიქრიც არ მომიტიდოდა.

მეორე დილას, წავიდოდა თუ არა ტარიელი, დედა წყველა-კრულებით გამოიტანდა იმის დანახურავ საბანს და აძლევდა დებს გასასუფთავებლად.

\*) მოხვერიალე.

— რა სიკეთეს ეძებს ქვეყანაზე მაი ხაძიგელი? უკუნიშითი რები ვერ მოუშორებია — აგერ წააქცევინ, და ქვეყნის ამბავს კი ეძიება! — ჯავრობდა დედა.

— მოდი გაიცანი შენი მეგობრის სიკეთეო, — დამტინო-ლენ დები.

მე კი მებრალებოდა ტარიელი, თანავუგრძნობდი და ვიგონებდი ამა თუ იმ სურათს იმის ნაამბობილიან.

შისი ყველა ნაამბობი გამსჭვალული იყო სევდით, თით-ქმ ქვეყანა მარტო უბედურების და ცრემლების სამეფოდ გამხდარიყო, მაგრამ ამ სევდაში ადვილად შეამჩნევდით იმე-დის ნაპერწევალს და უკეთესი მომავალის წყურვილს. ზოგ-ჯერ, რომელიმე სამწუხარო მოთხრობის შემდეგ, ტარიელი ჯერ დაფიქრდებოდა, თითქმ იგონებდა რამეს, მერე შლილა შექმუხვნილ წარბებს, ფართედ ახელდა თვალებს და ამბობდა:

— ასე იყო ი, ჩემო ბატონი... მაგრამ ყოველთვის უცვლელად ხომ არ დარჩება. ჩვენ ვართ უხევირო და უძლურ-ნი — გაგვსარისა ცხოვრების ულელმა, თორემ მომავალ თაო-ბას დააყურე შენ!

— ტატილას კი ვახშიმი და ღიმის გათევა უნდა, — მი-ტომაც იგრძელებს ამბავსო.

ასე ამბობდნენ სოფელში, მაგრამ ტარიელი მე მაინც მიყვარდა და ველოდებოდი იმის მოსვლას.

გაზაფხულზე, სკოლიდან მომავალი — ხოგჯერ შეხვდებო-დი ხოლმე მწვანე გრილ ტუში: უყვარდა ხმელი ფოთლების ბუმბულზე გაგორება გზის პირად და დასვენება.

— თუ მარტოკა ვიყავი, მიერპარებოდი და მიესალმე-ბოდი.

— გამარჯობა შენი, ტარიელ!

— დიდი გაზარდე, ბაბუავ... ოპო, შენ ხარ, ჩემო ი-ო-კრიკე?.. მოდი, დაჯეტი იგერ ნაბეღზე.

— ხაიდან მოხვალ? — ვეკიოთხებოდი.



— ქალაქიდან, თიკრივავ, ქალაქიდან: ქალაქიდან უნდა მოგონება მოგონება მოგონება... რომ მოგონებოდა შემხედვებოდი, პურის ნატეხს წამოგიღებდი, და ახლო რაღაც... ვნიხავ მაინც — ეგება დარჩა რამე ქეჩხოში, — ამ სიტყვებით დაიწყებდა ძებნას და უსათუოდ იპოვნიდა, სულ რომ ერთი თხილი ყოფილი მაინც.

— ახლა ვგი იყოფინე და მერე მე მკითხე შენი პატივის ცემა... ხომ კარგად სწორებოდ, ბაბუავ?

— კი... რომ გავათავებ სკოლის, მაგრამ ქალაქში უნდა წამიყვანოს.

— თბილი, საჭმელი იგია. ისწივლე, ისწივლე, ბაბუავ... აბა შენ იცი, თუ გვაჯობო ყველის. მაგრამ გახსოვდეს — არ დაივიწყო სოფელი... მე ველია მომესწრობი და სხვის მაინც მიერველე.

განვლო სამმა წელში. უკანასკნელი დღეები დავდიოდი სკოლაში: ვათვევებდი სწავლის. თუმცა წინ მომელოდა ქალაქი და სულ სხვა ცხოვრება, მაგრამ მარნც მემნელებოდა სკოლის მოშორება. ამ უკანასკნელ დღეებში უფრო ძირითა-სი და საყვარელი შეიქნა ყველაფერი. მასწავლებელსაც სულ სხვა თვალით უყურებდი. მომითბა გული, შევურიგდი და ბეჭრიც „ვაპარიე“.

ერთი რამე საშინლად მიკლავდა გულს: მარო უნდა დამეკარგა!

ვერ შეერიგებოდი იმ აზრს, რომ ყოველ დღე ველიან ვნიხავ ცქრილი მაროს, რომლის სახეს, ბავშურ სიყვარულ-ში გახვეულს, მუდამ ვატარებდი გულის სილრმეში, ვეალერ-სებოდი, შევტრდოდი და შეგხაროდი! ტკბილიად მიცემდა პა-ტირა გული და იმაყობდა სისიხარულო სიღღუმლოთი... და ახლა კი უნდა დავშორებოდი.

გული მიჩიილდებოდა. გავურბოდი მაროს: მრცვენოდა მისი. გადავწყვიტე წერილი მიმეწერა და გამოვთხოვებოდი. დავიწყე ლექსით:

მშეიდობით, მარო, გშორდები,  
ვეღარ გიხილავს თვალები;  
ნეტაი შენთან გამყოფა,—  
შენ სახეს ვენაცვალები....

მორიცნები  
გიგანტები

გავცევი ასე და მოზრდილი ლექსი გამოვაცხევე.  
— კარგად განაცვალებს მამა შენი, თუ გაიგო.... ამის-  
თვის დადიხარ კლასში, რომ გოგოებს წერილი სწერო?—  
მიჯვერდებოდა მეორე დღეს დედა და წერილის ნაკურებიც  
ხელში ეჭირა.

წერილი საწიგნეში მქონდა შენახული. ამოყოლოთ დებს  
და წაეკითხათ. მერე აღარ მაძლევდნენ მოსცენებას, —სულ  
დამციროდნენ:

— როგორაა შენი მარო? კი ლექსი გამოგითქვამს, კი...  
ტყუილად ვასწავლა მე იმათ კითხეა!

.....მაშ მშეიდობით, მარო! მშეიდობით, სკოლავ!...

გაბრიელ ბოგჭაძე.

(შესამე თავს დასახული)



## სამო მამანის ღიძეანს ვიყავ...



უცხო ქვეყანის დილხინს ვიყავი,—  
ცხოვრების ტალღამ იქ მომცა ბინა;  
თავ-ჩაქინდრული ვიარებოდი,  
ვერც გამეცინა, ვერც შომელხინა.

მე არ შესმოდა ენა იმათი,  
ვანც ჩემს გარშემო მეგულებოდა,  
და ჩემი სიტყვაც მათში ნათქეამი  
უდაბნოელის სიტყვაც რჩებოდა.


ველარ ვაუძველ ტანჯეა— ვაებას,  
იქ რომ გადამხდა, უცხო მხარესა,  
კვალად ვეწვიე აღფრთოვანებით  
ჩემი სამშობლოს არგმარესა.

ეჭ, რა სიამე ვიგრძენ მე მაშინ,—  
გული ატყედა, დაიწყო მღერა;  
ჩემს ყურს მოესმა მოძმეთ ბაასი,  
მათი ჩონგურის საამო ქლერა.

გადავეხვიე სამშობლოს მიწას,  
დავკოცნე ვარდი, დავკოცნე ია;  
ყველას შევცინე, მიუალერსე,  
ხელზე დავისვი მაია ჭია.

იპ, რა კარვია იქ ყოფნა მარიად,  
სად გაიზიდე, ჩაგედვა ენა;  
სად გაატარე დრო ბავშვობისა  
და სად იწვიე იმისგან ლხენა!

დ. ელიოზიშვილი.



## ელიკოს ალბომი

(ცამარა)



ა შენ ც ჩემსკენ გამოფრინდი,  
ჩემთ პაწავ, ჩემთ კარგო!  
მსურს ვერცხლის ტბა მოგახვიო,  
პზის ყვავილით შემოგქარდო.

და იხლოს არ მოგაიარო  
ამ ცხოვრების გესლი მწირე,  
ფიანდაზად გადიშალო  
მომცინარი მზე და მოვარე,

რომ სიცოცხლის თეთრი სახე  
თეთრ ყვავილად გეხატოდეს  
და ცხოვრებაც შენს გარშემო  
მუღამ თეთრად კისეისებდეს.

დე შენს სახეს ჩემი სული  
წმინდა მსხვერპლად შეეწიროს,  
ოლონდ შენმა მომავალმა  
ჩემი აწმყო დაიტიროს..

მიმქრალი



## କବିତା ସାହେଜନ

ସାହାଜାପଣ ଅଧିକା ସାଥ ମନ୍ଦିରପଳକାଳ

ମନ୍ଦିରପଳକ ଶିଳ୍ପି:

ପାନୀ—ଶ୍ରୀରୂପ,  
ନିକୁଟ—ଶ୍ରୀନିରାତ,  
କାରିଗରୀ—ଶାରିକାଲୀ,  
ଶ୍ରୀରାଜ—ଶାଶ୍ଵତଶ୍ରୀପ୍ରୀତ,  
ଅନ୍ଧରା—ରାତିରିକ୍ଷେ ଶ୍ରୀରାଜନାନୀ,  
ମନ୍ଦିରପଳକ—ଶିଳ୍ପି ତାତ୍ତ୍ଵ,  
ଲକ୍ଷମୀ—ଅତୀକ୍ଷ୍ଣ ତାତ୍ତ୍ଵ,  
ଶାରି—ଶ୍ରୀଲକ୍ଷ୍ମୀପାତା I,  
ଲୁହା— " " II,

ଶିଳ୍ପି—ଶ୍ରୀଲକ୍ଷ୍ମୀପାତା III,  
ଶିଳ୍ପି—ଶିଳ୍ପି  
ଶିଳ୍ପି—ଶ୍ରୀଲକ୍ଷ୍ମୀପାତା,  
ଶିଳ୍ପି—ଶ୍ରୀଲକ୍ଷ୍ମୀପାତା,  
ଶିଳ୍ପି—ଶ୍ରୀଲକ୍ଷ୍ମୀପାତା,  
ଶିଳ୍ପି—ଶ୍ରୀଲକ୍ଷ୍ମୀପାତା I,  
ଶିଳ୍ପି— " " II,  
ଶିଳ୍ପି— " " III.

ଶାଲବାରୀନି ପାଇଁରାଖିବା; ଶାରିକ୍ଷ କାପନି, ଜାରିକ୍ଷ କାପନି, ମେଦାଲୀନି ରୂପ  
ମେନ୍ଦୁରନ୍ଦନି.

## მოქმედება პირველი

ბადია. შარტხივ დთბე, შიგ ჩეინის ჭარები; შარტხივ მოსინას ასევადა ქვის ვაბე, რომელის შოაფირი ფერად შეცხარით მოიწენადა; პირდაპირ, გარდთა ბუჩქები შეინის, აუზი, რომელის შეა ბაგშეის ქანდაკებაა. ქანდაკებას თვეზი უჭირავს და შირიძან შადრევანი ამონებენუ სებს. შეადღეა.

## გამოსვლა პირველი

განთ, ტარიელი, ჰეტრე, ანდრა, შიტრ, გათრება, თედო, ტარი, ნინთ, მართ, გართ. წინ წრეა შემოვლებული; შიგ აწევა ქმრები და ზედ ადგანან: ურთხე ვანთ, მუთრეზე — ტარიელი, ხოდო ჰეტრე და ანდრა ისე დგანან; გარედან უვდიან წრეს: შიტრ ქმრით; ხოდო გათრება, ტარი და თედო სელცარიელია ცდილობენ ვანთს როგორისე გამოაცალონ ქამარი. თამაშია „ლახ-ტობა“.

**მიტო** (ქამარს ურტევს ტარიელს). ტარიელ! ქამარზე ფეხს ნუ ადგამ, ფეხს ნუ ადგამ.

**ტარიელ.** მე ხომ მიტო არა ვარ. მოდი, მოდი...

**მიტო.** აქ ვარ... (გაუტელაშენებს ქამარს ქანქებში). აი, თუ აქ არა ვარ?!.

**პეტრე** (წრესთან შახლოვებულ ტარის, რომელიც ეპარება ვანთს, რომ ქამარი გამოაცალოს, ფეხს მოუქნევს, რომ გასჭრას). ახლო ყოფილიყავი, მე გაჩვენებდი, როგორც უნდა ვანოზე მოპარეა?!

**მიტო** (გაუტელაშენებს ჰეტრეს). აქ სადა პყოფ მაგ ფეხსა?

**ტარიელი.** ანდრო! შენ ვანოს, ვანოს მიხედე...

**ტიტო.** ერთი უყურეთ, ვანოს პირი როგორ დაულია?!

**გიორგი** (ვანოს). ბიქო, ბუზი არ ჩაგიძვრეს პირში...

**ვანო.** კარგია, მო...



**მიტო** (ამ დროს ქამარს გამოაცლის ჭანოს). აი, თუ პირველი მოძღვანელი ტარიელს, თორემ კანკები აფ-წვება.

**ვანო.** კარგი, ჰო, ტრაბახა...

**ტარიელი.** აქეთ, აქეთ მოდით ჩემკენ. ერთის მაგიტ თრი კანკი მაქეს... აქ მეც ვეყოფი. თქვენ თვალყური იდევ-ნეთ, რომ გასკრიათ ვინმე. ლახტს კი ვერავინ გაიტანს...

**მიტო** (ჭანოს). თუ კი ბიქი ხარ, ტარიელს რას ეფარები? გა-მოდი რაღა...

**ვანო.** მე არავისაც არ ვეფარები...

**ანდრა** (შატოს გასჭრის). აი, ხომ გაგვერი?.. რა ტყუილად შე-გრჩი ეგ ლახტი?

**მიტო.** აბა, როდისა?

**ტარიელი.** აი, მე ხომ გაგვერი...

**მიტო.** უი... (აიგანჭერებს ფეხს) ეგრე შეიძლება?!..

**ანდრა.** ეგ იმიტომ, რომ იცრუე; აბა, დაიჭიცე, თუ არ გაგვე-რი.

**მიტო** (ფეხ-აკანჭერებით). ეჭ, მომშორდი!!..

**პეტრე,** ახლა თქვენ ჩადექით...

**ვარო.** თქვენ რო თამაშობთ, ჩვენ კი არ გვინდა?..

**პეტრე.** მერე, ვინ გიშლით?

### გამოსვლა მიორი

იგინივე, კოლა, კატო, შინაგო, დათა, გია, ლეო.

**კოლა.** მართალია! (შოადგებიან კარებს). განა ქალებს კი არ უნ-დათ თამაში?..

**კოორდი** (შიგა კარებთან და გაუდებს გახარებული). კოლა!.. კო-ლა, ბიქო, გუშინ და დღეს უქმეა; შენ კი სად დაიკარ-გი, რომ აღარ მოხვედი?

კოლა. კადეტები მმ უქმედებში ვალდებული არიან. ცის და გორგოს...  
გიორგი. მართლა, გუშინ ხელმწიფის უქმე იყო.

კოლა. ჰო, და მე თუმცა გუშინ აქ არ ვიყავი, მიგრამ...  
გია (დაცინვით). ჩვენთან იყვით გულით...

კოლა. გულით და სულით... თქვენ აქ ლახტობანას თამაშობდით, მე კი ვამოჭიმული ხაყდარში ვიდექი...

გიორგი. და ლოცულობდი! კარგი, კარგი.

კოლა. ღმერთს ვევევეწემოდი: კარგა შემასრულებინე...

გია. ნაპლენიობა?!.

ზოგიერთინი. რა, რა?!

კატო. მართლა, იყი, ნინო, კოლამ...

კოლა. კატო, ამა სადაურია? მე არ მითქვამს, შენ კი...

გიორგი. დააცადეთ...

კოლა (უბიდას აშოთებს რეველს და ახაშებს). აი, მე სათამაშოდ პიესა...

გიორგი. პიესა?! ვისია?

კოლა. (ამჟად გაივლ-გამოივლის) ჩემი!..

გიორგი. ბიქო, შენი? აბა, მაჩვენე...

გია. კადეტი და პიესა?

კეტრე. მერე რა არის საკვირველი? რუსეთში პოეტები სამხედრო პირები არ იყვნენ?

ვანო. „დემონი“ ლერმონტოვის არ არის?..

ტითო. ყოჩალ, ვანო, ყოჩალ! ხედავ, როგორი სცოდნია?!

გიორგი. ვანი ჩენ კი არა გვყავს...

კოლა. შეგურდათ? გგონიათ მე დავწერე?

უველანი. მაში!

კატო. მაგან ერთი ზღაპარი...

კოლა. კატო!..

კატო. ჰო, კარგი, კარგი ...

კოლა. ამას წინად წავიკითხე ერთი ზღაპარი...

კატო. აი, მაგას კი სტუცი... ყოველთვის მე ვაუკითხევ ხოლო მე...

კოლა. პო, მართლა... მაგან მიამბო და მე...  
გია. პიესით მოვარე! სოქეტი და გაათავე, რალა.

კოლა. მოვაგვარე კი არა, გადავაკეთე...  
გიორგი. სიხლი?

კოლა. სიხლი?!. აი, ეგ კი გამიძნელდა.. იცი, გიორგი!..  
გიორგი. ჯერ ვითამაშოთ; შემდეგ სიხლი დავარქვათ.

კოლა. პო, აი, ერთი კვირა უქმეცა გვაქვს.

გიორგი. უენ თუ იყისრებ... მე მაგისი არა ეციო-რა.

კოლა. ჩვენ კორპუსშიაც მოგვიწყვია საბავშვო პიესები. მა-  
გრამ სიხლი?..

გიორგი. სიხლს მამა დაგვითმობს...

კოლა. დანარჩენი აღვილია. (ტაშს შემოჰქმნეს და ცალ ფეხზე შე-  
მოტრიდვება, ხოდა ნახევაზე გამტერდება). მაგრამ...  
უცელანი. რა, რა!

კოლა (შებედზე თათის მაღებით). მეფედ, მეფედ ვინ...

ვანო. მე!

პეტრე. მე!

ანდრა. მე!

გიორგი. ბიქოს, ბევრია მსურველი?!

კოლა. მაგრამ... (მამართავს იმათ, ვანც სოქება „მე“) უარა  
რო ჩერჩეტია?

გიორგი. არა, უნდა ამოვეირჩიოთ.

კოლა. იცი რა?! რიდგანაც მეფობა ჩეენში ბევრსა სურს,  
მოლი და წილი უყაროთ.

ნინო. საცა რიგია, მეფეს უნდა ირჩევდნენ; მაგრამ რა ვაე-  
წყობა: კენჭი უყაროთ.

გიორგი. აი, ქალალდი! (უბიღან იდებს ქალალდის). რამდენი ვართ?  
პეტრე (მარტო ვაჟებსა თვლის). ცამეტნი ვართ...

ნინო. ქალები?..

გიორგი. ქალებიც, ქალებიც.

ვანო (სოფლის). ჩეილმეტი...

მიტო. ყოჩალ, ვანო! გამოიცნო.

- კოლა.** ერთხე დააწერე „მეფე“, და ვისაც ერგება, იგრძელება  
ბა მეფედ. დაახეიეთ; ასე, ქუდში ჩივყაროთ; ამა, ამოის  
ლეთ.
- გია.** ერთი უყურეთ ვანოს, ხელი უკანკალებს; სეირი არ იქ  
ნება—მაგას ერგოს?
- ანდრა.** მეტე, ეზ სულელია!..
- ვანო (დმიუქრებით).** მერგოოს...
- კოლა.** ვისაც ერგება მეფობა, იგი ირჩევს ვეზირს, სარდალს...
- კატა.** დედოფალსა?
- ნინო.** დედოფალს თეით ქალები უნდა ირჩევდნენ...
- კოლა.** არა, ეგეც მეფის უფლებაა...
- ვანო (კოსულობას).** „მეფე“! მე ვარ მეფე...
- კოლა.** ახლა ამოირჩიო ვეზირი.
- გიორგი.** ეგ ხომ თეითმცყრობელობაა!..
- გია.** რას იზამ: ბეღმა არგუნა.
- ვანო.** მე, მეფე თქვენი, ვირჩევ ვეზირად კოლას...
- გია (კოლას).** მეფე შეჩერდა. არიქა, შეეშველე, ვეზირო!
- გიორგი.** ეს ცხოვრებაშიაც ბევრჯელ ყოფილა... ვეზირი  
უკარნახებდა.
- პეტრ ე.** ეი, რას ჩიაციფიოთ?! ვანომ ჯერ რა იცის—რასა სწერს  
კოლა პიესაში?
- მიტო (გიორგის სედს წაჟარავს).** თავს უქონიას, აი! უნდა, რომ  
ამოირჩიოს რამეში...
- კოლა (ჩახედავს რევულში).** მეფე ევ! მე მივიღებ თქვენ ბრძანე-  
ბას. მზათა ვარ ვემსიხურო მეფეს და ქვეყანას...
- მიტო.** როლმა გაიტაცა.
- გიორგი.** ბიქის! კარგა დაიწყო?!
- კოლა.** დამაცალეთ, ნუ მიშლით. (ჩახედავს რევულში) დიდე-  
ბულო მეფევ! ახლა ვთხოვ ამოირჩიო: ჯარის სარდლად—  
ტარიელი; სახლოთუხუცესად—პეტრე...
- ვანო.** ვირჩევ, ვირჩევ!

კოლა. ახლა ამოირჩიე დედოფლად ამ ქალებზი... გინდური განასახია ვანო (ნაჯას). ვინ ავირჩიო?

კოლა (ჩუმად წასწურნებულებს). ნინო.

ვანო (ნაჯას, ჩურჩულით). როგორ მიემართო?

გია. ვეზირი მანდ არა გყავს? ვიკარნახოს.

კოლა. როგორც ვეზირი, ვასრულებ მეფის ბრძანებას: მეფე ასახელებს ქვეყნის დედოფლად ნინოს.

ვანო. ვასახელებ, ვასახელებ!

ნინო. გმაღლობთ. მე დედოფლობა არ მინდა...

ვანო (ნაწერნა, კოდას). კოლა! კატო, კატო იყოს.

კოლა. მეფის სურვილი ბრძანებაა, და კველისათვის კანონი უნდა იყოს...

გიორგი. ყოჩალ, ყოჩალ, კარგი ვეზირია.

მიქთ. მეფე კი სულელია.

გიორგი. ბიჭას, ლექსი გამოვიდა: „კარგი ვეზირია, მეფე სულელია!“

კოლა (საერთო სიციდა). გიორგი! მოიცა, ნუ გვიშლი...

გიორგი. უკაცრავად, ბატონო ვეზირო!

კოლა. ჩვენი მეფე დედოფლად ირჩევს კატოს...

მიქთ. დედოფლად ვეზირის და?!..

ვანო. ვირჩევ, ვირჩევ... ვთხოვ...

გიორგი. მართლაც უხერხულია.

ტახიელი. მაგალითიც არა ყოფილა.

პეტრ. როგორ არა, ლუარსაბმა არ შეირთო დიდი მოურნების და?

გიორგი. აյս სამეცნოც აირია.

კოლა. გიორგი, შენ რაღა დაგემართა? თუ გინდათ, თამაში ვითამაშოთ... რა დროს კრიტიკაა...

გიორგი. უკაცრავად, უკაცრავად... აბა, ბიჭებო, დაწყნარ-დით და ნუ უშლით. (კოდას) შენც, ნუ კი იბუტები; ჩვენც ვხუმრობთ. აბა, ჩირედე რვეულში და განაგრძე.

କମଳା (ଖାନ୍ଦେଶ୍ୱର, ମେଲିଗବ). ଦେଇନ୍ଦ୍ରାଜାର ଏହିକେତାଳେ କାହିଁରୁଣ୍ଡିଲୁଗା  
ମାର୍ଗକୁ ମେଜୁହ-ଦେଇନ୍ଦ୍ରାଜାରିଲୁବା!

ଶେତରୀ. ଘର୍ମାର୍ଜନକୁ, ଘର୍ମାର୍ଜନକୁ!..

ପବ୍ଲୋକନ (ପାଞ୍ଚା ପାଞ୍ଚାକୁବା). ଘର୍ମାର୍ଜନକୁ!..

କମଳା. ମେଲିଗବ-ମିତାଯରାଜ — ରାତିରେଳି; ଲାଭମିଳି ଉପରିବାର — ଅନ୍ଧ-  
ରା; ଲାଭମିଳି ପିଲାଜି; ଲାଭମିଳି — ତାତା ଦା ଗା. ରା-  
ତିରେଳି! ଶେବ ଶୁଣି ବେଶିବ୍ରାନ୍ତ ଜାରିବେ ମେଜୁହି ବୈଷ୍ଣଵାର୍ତ୍ତନୀ  
ଦା କାରିତାଗୁର୍ବେଦା; ବେଳିବେ ଶେବ, ଶେତରୀ, ଲାଭମିଳି ବୈଷ୍ଣଵ-  
ଶୁଣ୍ୟସି, ଦେଇନ୍ଦ୍ରାଜାର ମେଜୁହି ବୈଷ୍ଣଵିବେ ଦା ତ୍ୟାଳୀ-ୟୁଗିର ଏହେ  
ନେବ ମେଜୁହି ମୁଖ୍ୟେଦା; ଶୁଣି ଆପଦିନିର ମେଜୁହ ଦେଇନ୍ଦ୍ରାଜାରି  
ମାର୍ଗକୁ ମେଜୁହି ଦା ପୁର୍ବେଦ୍ୱର୍ବ୍ରଦ୍ଧା.

ଗନ୍ଧିରାଜ. ବୋଲିବେ! ବୋଲିବେ ପୁରୁଷ ବୀନ ପୁଗଦ୍ଦେବି?!

କମଳା. ବୋଲିବେ ତ୍ୟାଗିତ ମେଜୁହ ପୁତ୍ରାତ୍ମକନ୍ଦ୍ରେଦା...

ଗନ୍ଧିରାଜ. କାରିଗା? ମେରେ ଦା, ଦିକ୍ଷା, ମେ ଲାଭି ତ୍ୟାଗିତାରେ? ମେ  
ରାମିର ତାନିମିଳିଦିନିବା ମଦଲ୍ଲେବ?

କମଳା. ଶେବ ମନ୍ଦିରକୁ ନିର୍ବିନ୍ଦି...

ବାହମ. ମେ, ମେ ଲାଭିବ ମାତାମାତ୍ରେବ?

କମଳା. ଶେବା? ଶେବ ଦା ନିନି ବୈଷ୍ଣଵ-କାର୍ଯ୍ୟବି ନିର୍ବିନ୍ଦିତ ଦେଇନ୍ଦ୍ରାଜାର  
ଲାଭିବ. ବାହମ! ଗ୍ରେହଭାବିତ କାର୍ଯ୍ୟ ମାତ୍ରିବ ନିନି, ମାତ୍ରିବ  
ଦା ବାହମ କାର୍ଯ୍ୟକୁ ପୁରୁଷ; ଶେତରୀ! ଶେବ — ବାହମ ପୁରୁଷ...  
ଦେଇନ୍ଦ୍ରାଜାର ଆପଦିନି କିମ୍ବ ଶୁଣିବାବା.

ମିଥାଜିମ. କିମ୍ବିବ ଦେଇନ୍ଦ୍ରାଜାରାତା?

କମଳା. ବାହମ! (ଶବ୍ଦିତ ଚାରିବିନିର ନମିଖି). କାର୍ଯ୍ୟବି, କାର୍ଯ୍ୟବି, ନମିଖି! କିମ୍ବ,  
କିମ୍ବ, କିମ୍ବ, କିମ୍ବ...

ମିଥାଜିମ. ମ-ମୁଖ...

ବାହମ. ମ-ମୁଖ...

ଶେତରୀ. ଦୁର୍ମିଳିରା-ଦୁର୍ମିଳି, ଲାଭ-ଦା-ଦୁର୍ମିଳି...

## მომავადება 2020

აგვისტი ეზო. ღობის ჭარიდან ქვის კიბემდე ბილიკსავით დაუკანიდა წითელი მაუდი; თვით კიბის საუკუნებიც საუდრის ქარამდე წითელად მოაფეხიდა; კარების თავზე ბაირადებია; ღობის ჭარიდან საუდრის ქარამდე თრ-რიგად დაქიდებდა სხვ-დასხვა ფარინგისა.

### გამოსვლა პირველი

სახლითუხუცესის ხელშეკრითი, სარდალი, რაზმის უფროსი, ასის თავი, ათისთავი: I და II.

**სარდალი.** (სახლითუხუცესის ხელშეკრითი ასწორებენ დაუკანიდ მაუდს. გამოჩენდება სარდალი. მას გამოექიმებან. ხმა იმის ჭერ დოდისა, შემდეგ —სპარსელი მარშის). მარჯვნივ! პირდაპირ! (მუსიკა გაუჟინდება). უეჩერდიო! ორ შრეკრიკად მხარ-მარჯვნივ! შუბი სწორად! გასწორდიო! (უბისნის) დღეს ჩვენი მეფე ჯვარს იწერს... ბატონო უფროსო! ჯარისკაცებმა იციან — ვინ არის მათა მეფე და დედოფუალი?

**რაზ. უფრ.** იციან, ბატონო სარდალო!

**სარდ.** (ჭარის-კაცთ შემსრულავს). ვინ არის თქვენი მეფე და დედოფუალი? მეფე და დედოფუალის სახელები იციო?

**ასის თავი.** ვიციო, ბატონო სარდალო!

**უცელანი** (შის ხშირება). ვიციო, ბატონო სარდალო!

**სარდალი.** მეათე ჯარის-კაცი!

**ჯარ.-ქ.** (გამოვა წრიდან და გამოექიმება წინ შებით). რას პიბანებ, ბატონო სარდალო!

**სარდ.** რა პევიან ჩვენ მეფე მბრძანებელსა?

**ჯარ.-ქ.** მეფეს... ვეზირი, ბატონო სარდალო!

**სარდ.** რას როტავ... უფროსო, გამოუძიხე, ვინ ც იცის!

ჩამ. უფ. მერვე ჯარის-კაცო! ვინ იდგამს დღეს სამუშაოებისა  
გვინსა?

ჯარ.-კ. VIII (გამოვა და გამოეჭიმება). ვანო, ბატონო უფროსონ!  
სარდ. ვინ არის ჩვენი შბრძანებელი?

ჯარ.-კ. ვეზირი კოლა, ბატონო სარდალო!

უფროსი I. (სარდალი საიდუმლოდ წასწურნებულება, შემდეგ ჭარის-  
კაცი) რა ჰქვია ჩვენ მეფესა?

ჯარ.-კ. ვანო, ბატონო უფროსონ!

სარდ. ჩვენ დელოვალს რაღა ჰქვიან?

ჯარ.-კ. VIII. კატო, ბატონო სარდალო!

ჯარ.-კ. VIII. რისა მკრია ხელსა?! მე რა ვქნა, რო ვერ აძლევ  
პასუხს.

სარდ. (უფროსი უბლევეს ჭარის-კაცი). რა მმავია! გაყუჩდით! ჩვე...  
ერთგულნი ხართ მეფისა?!

უფრ. ხმა. ერთგულნი!

სარდ. თქვენ, ჯარის-კაცნო?! რატომ თქვენ...

ჩამ. უფრ. (წამოვა; წინ გამოეჭიმება). მაგათთეის ჯერ არ გვის-  
წილებია მაგაზე რა უპასუხონ...

სარდ. ვერა ხარ კარგი უფროსი!.. ჯარის-კაცნო! (ჭარის-კაცნი  
გაშერებული უკურებენ). როცა გეკითხებიან: „ერთგულ-  
ნი ხართ მეფისა?“ თქვენ უნდა უპასუხოთ: „ერთგულ-  
ნი“...

ჯარ.-კ. გვესმის, ბატონო სარდალო!

სარდ. ერთგულნი ხართ მეფისა?

ჯარ.-კ. ერთგულნი, ბატონო სარდალო!

სარდ. თავს დასდებთ მეფისთვის?

ჯარ.-კ. ერთგულნი!..

სარდ. (უსიამოვნოთ შხრებს ააჩეჩავს). არა!.. როცა გეკითხებიან:  
„თავს დასდებთ მეფისთვის?“ უნდა უხასუხოთ: „თავს  
დავდებთ“!

ჯარ -კაც. გვესმის, ბატონო სარდალო!

**სარდალი.** თავს დასდებთ, მეფესთვის?

**ჯარ.-კაც.** თავს დავდებთ, ბატონი სარდალო!

**სარდალი.** „ბატონი სარდალო, ბატონი სარდალო!“ აქ „ბატონი სარდალო“ აღიარ უნდა. მარტო პისუხის საქირო:  
„თავს დავდებთ“...

**ჯარ.-კაც.** გვესმის, ბატონი სარდალო!

### გამოსვლა ვეორები

აგანივე და სახლოუჩეცებია

**სარდალი.** (სახლოუჩეცებია რო გამოიწვება, ღილა უკრავენ; შესი-  
კაც უნდა აყიდონ; ჭარიც საღმის მიცემას აპირებს, მაგრამ  
შეჩერებს). გაჩუმდით! ვის ძლევთ სალაში?... განა  
არ იცით, სალაში უნდა მომცეთ: მე, მეფეს და ვე-  
ზირსა...

**ჯარ.-კაც.** გვესმის, ბატონი სარდალო!

**სახლოუჩეცები.** მე, მე არა!.. ბატონი სარდალო, კარგ ეყრ  
ასწავლით...

**სარდ.** ეგ თქვენი საქმე არ არის. სალაში თქვენ ჯარისაგან არ  
გექუთვნით.

**სახლოუჩეცები.** მე, არა!?

**სარდ.** არა!

**სახლოუჩეცები.** არა!?

**სარდ.** არა!..

**სახლოუჩეცები.** (მოუბრუნდება თავის ხელჭვეათების, რომელიც გამოკ-  
ჭიაშებაან). უნდა მიძლიონ თუ არა სალაში?!

**ხელჭვეოთ.** (ერთხმად) დიახ, ბატონი ბოქაულო!

**სარდ.** (თავისითვის). მელიმ თავის კული მოწმად შოიკვანა!...

**სახლოუჩებ.** რა ბრძანებო?

**სარდ.** ხო, და მაგათ გაძლიონ სალაში; ჩემს საქმეში-კი ნუ  
ერევოთ...

**სახლთუბ.** კარგი!... მე ამის მოვახსენებ დიდ ვეზირს, მაგრა რენდება და, რა შეამჩნევს ერთ ადგიდს გადაეციად მაგრა მეტაციას შეუძლებელს (მითოვებით) გაასწორეთ!.. (რა შეამჩნევს მიმა-  
ვალ კეზირს, გამოეჭიმება) ვეზირი ძობძანდება.

### გამოსვლა მისამი

იგინივე და პიზირი.

**სარდ.** თვალყური გზისკენ!... დოლი!... მუსიკა!... სალამი!...  
(იძრობს ხმალს და ქარებთან მიერებება ხმალ-გაშიმშედებული) სა-  
ლამი ვეზირს!...

**ვეზირი.** (სარდლის წინ საღმით; შემდეგ საღამის მისახიან და ერთ-  
მანების ხელს ჩამოართმევუნ). ჯირის კაცნო!...

**ჯარ.-კ.** რას გეიბრძანებ, ბატონო ვეზირო!..

**სახლთუბ.** ნეტავი შეეშალოთ...

**ვეზირი.** ერთგულნი ხართ მეფისა?

**ჯარ.-კ** ერთგულნი...

**ვეზირი.** თავს დასდებთ მეფისთვის?!

**ჯარ.-კ.** ვართ... (მათ შორის უფროსნი). თავს დავდებთ... (გა-  
შეარებენ) თავს დავდებთ ..

**ვეზირი.** ირაუშევს რა, კარგია.. მე მაინც მადლობელი ვარ.

**სარდ.** მზათ ვარ ვემსახურო ჩვენ მეფესა...

**სახლთუბ.** (მივა და გამოეჭიმება კეზირს). ყოველივე რიგზე,  
დაიფაროს ღმერთმა მოღალატეთაგან ჩვენი მეფე.. .

**ვეზირი.** (საღამის არ აძღვებს). კეთილი, კეთილი...

**სახლთუბ.** მეფისთვის მე ვარ თავდადებული...

**ვეზირი.** კეთილი... (ამ დროს სახლთუბულის ხელს გაუშევს ჩა-  
მოსართმევად, ამაზე წერომით). რატომ არ იცი, ბატონო  
სახლთუბულის, რომ ვეზირი თქვენ ხელს არ ჩამოგარ-

თმევთი!.. ნუ გავიწყდება მოვალეობა — შენი თხრისტიული ბობა!

**სახლთუხ.** (ბრაზით გადასკედავს ტარიელს). უ... უ... უკაცრა-  
ვად... ვეზირი. ბ. სარდალო! ხომ გახსოვთ ნიშანი მეფის მოპრი-  
ნებისა?..

**სარდ.** მახსოვს, ბ. ვეზირო!...

**ვეზირი.** (სახლთუხს უცემს). სახლთუხუცესო!... ღალატი არა  
საამურ ოცნებებით გატაცებული ჩამოჯდა იქვე ქვაზე და თვალებზე ხელი მიიფარია. მზე სწვავედა მას, მაგრამ ის ამას უკვე შეეჩინა და ვერც ამჩნევდა მის გარშემო ბუნების უფერულ და მკრთალ ხახეს.

— მე თავისუფალი ვარ,—ჩურჩულებდა ის,—შემიძლია ყველგან წავიდე, საცა მსურს.—მოულოდნელად მის წინაშე გაინდა ძონძებით მოსილი დედაკაცი. გულში ჩაერული ჰყავდა პაწაწა ბავშვი; კაბის კალთებს ჩაჰკიდებოდა ტიტველა მეორე ვაერი. სახე მწუხარებისაგან გაწამებული ჰქონდა და უეხზე ძლიერ იდგა.

— გამიკითხე ქვრივი ქალი, — სთქვა მან: — შეიძრალე აბლები.

საიბი შეკრთა. მეტად საწყალი და ლარიბი იყო დედაკაცი.

— კარგი, მაგრამ ვანა ვერ მხედავ:—მეც ძონძებში ვარ? უბრალო მუშა ვარ. მზის სხივები უმოწყალოდ მწვავენ და ვიკვებები მოწყალებით.

— მოწყალებისთვის საზღვარი ვის დაუდეია?—უპასუხა დედაკაცმა.—თუ შენ ისეთი ლარიბი ხარ, რომ არ შევიძლია ფულით ან პურით დამებარო, მაშ ბავშეებს მიუალერსე, დაუყვავე, ჩემსავით შშიერ-მწყურვალებს.

საიბი ერთ წუთს ჩაფიქრდა. საბრალო ქალის დანახვაზე ყოფილი აღარ შეიძლებოდა. ნუ თუ ის, ვინც გადასწყვიტა

ეჩიუქებინა ჯივასთვის დაუფასებელი აღმასი, ამ უმწევულ და და-  
კაც გაუკითხავად გაუშევებს და ამ წუთში არ აჩიუქებს ნა-  
ზოვნ ძეირფას ქვეს.

— არა, არასოდეს! — სწრაფად ჯიბეში ხელი ჩიყო აღ-  
მასი ამოიღო და მათხოვარს გაუწიოდა.

— აიღე, — უთხრა მან დედაკაცს. — ზეტა იყოს შენი მფა-  
რველი.

მათხოვარამ გამოიართვა აღმასი და გაშორდა. საიბი-კი  
დარჩა ისევ სანატრელ თავისუფლებას მოკლებული.

— არაფერია, — სთქევა მან: — თუ ბედი მწყალობს — კიდევ  
ვიპოვი...

გავიდა წელიწილი. მალაროებში ახლა უფრო ძეირად  
ჩნდებოდა აღმასები. ბოლოს-კი სულაც მოისპო. საიბი სა-  
გონებელში ჩივირდა; ნუ თუ ველია იპოვის მეორე აღმასს;  
ნუ თუ ისევ მონად დარჩება საიბი. ამ აზრს ვერ ურიგდებო-  
და; კიდევ მეტი მუყაითობითა და მნიშვნით შეუდგა მიწის  
თხრის და ქვიშის რეცხას. და მართლაც იპოვა მეორე აღ-  
მასი. უკანასკნელი უფრო ძეირფასი და უკეთესი გამოდგა,  
ვიღრე ის, რომელიც მათხოვარს მისცა.

— მადლობა ღმერთს, — გაუხარდა საიბს: — ახლა-კი შემი-  
ლია დავბრუნდე ჯივასთან და სანატრელი ყელსაბმური გაუ-  
კეთო.

იმ ფიქრმა, თუ რა საუცხოვო ყელსამბურს გაუკეთებდა,  
სიხარულით აღავსო იგი.

საიბი ხელოვანი იყო, და ყოველივე შშეენიერი და  
ლამაზი მას ასიამოვნებდა და იღატროვანებდა.

და აი გაემართა კიდევაც ჯივასკენ. სულ ორი თვე-და  
დარჩენოდა ჯივასგან დადებულ ვადამდის. მაშ ერთი თვის  
შემდევ გაინთავისუფლდება და შეუძლია წავიდეს, საცა მოი-  
სურვებს.

გადალახა მთა, გაიარა ტყე და ველები; სწვავდა მრის-  
ხანე მზე, ასკელებდა წვიმა და უბერავდა ქარი, მაგრამ ის

კერაფერს ამჩნევდა. მოუთმენლად სურდა ლაქენების გადა  
ეს სახახლის თოვლივით თეთრი კოშკები. სახახლები ჩა-  
ბარებს თავის შტრძანებელს აღმასებს, გაუკეთებს ყელსაშპურს  
და გაუდგება საკუთარ გზას. უეცრად თვალი საზარელ  
სურათს მოჰკა. საშინელ სიცხეში გუთანხე მიჯაჭული მო-  
ნა ხნავდა მიწას. კუნთები სიმებივით დასკიმოდა და ძელები  
ცხადად მოსჩინდნენ სხეულიდან. საკოდავი ცხენის მაგივ-  
რად გაებათ გუთანხე. ოფლი ხვითქივით ჩამოსდიოდა სახე-  
ზე. უკან მისდევდა ბატონი და რაც ძალი და ლანე ჰქონდა  
სკემდა სახრეს ბეჭებზე.

— გასწი, გასწი, თორებ არაფერს გაჭმევ!

სისხლი ყელში მოადგა საიბს ამ სურათის დანახვაზე. შექერდა და სიბრალულით შეხედა ბატონს და მონას.

— მმაა, რატომ ექცევი ეგრე სასტიკად შენს მოძმეს?

— მონა ჩემია, და როგორც მინდა, ისე მოვექცევი, —  
უპასუხა ბატონმა.

— გაუშვი, გაანთავისუფლე.

— სასყიდელს ვინ მომცემს?

— მე, — უპასუხა საიბმა და ალმასი გაუწოდა. ძეირფასი  
თვალის დანახვაზე ბატონს თვალები ხარბად აენთნენ; დაა-  
ვიწყდა მონაცა და გუანიცა, საჩქაროდ მოხსნა მონას ჯაჭვი  
და საიბს მომგვარა.

— ახლა მონა შენ გეკუთნის და როგორც გინდა — ისე  
მოექცევ!

საიბმა მონას ხელი ჩატკიდა და შორს მინდორში გაი-  
ყვანა. დააყენა ჯვარედინ გზაზე და უთხრა: — თავისუფალი  
ხარ; წელი, საითაც გენებოს. მონა მუხლებზე დაეცა, საიბის  
სამოსელის კალთას ემთხვია და გაშორდნენ ერთმანეთს. საი-  
ბი თავის გზას გაუდგა და მონა-კი ცოლშეიღისაკენ გაეშურა.

გავიდა ორი კეირა. საიბი მოიქანცა და როცა მიაღწია  
ტყეში აშენებულ ბამბუქის ქოხს, მასპინძელს ღამის გათვევა  
სოხოვა. მოწყვეტილივით დაეცა ჩალაზე და მიშინევ მიგრად

ჩეგძინა. ჩამავალი მზის წითელი ბორბალი მძიმედ ჭრილებული პორტინერის კუკურული უკავების და უერცხლისაგან გაკეთებულს ჰგავდა. ოქროს-ლეროიან ხეებს ოქროს ფოთლები მოესხა. მდინარე თითქოს გამდნარი უერცხლი იყო. ცის სივრცეში მოსჩანდა მზის შექით გაბრწყინვებული სადაფის ლრუბლები. საუცხოო ფრინველები დასრიალობდნენ ტოტიდან ტოტზე და გალობდნენ სალამოს ჰანგებს. მერმე მზე ჩიესვენა და შესწყდა გალობა. ღამემ ნელნელა მოიცვა არემარე. — უკაველიაფერს ეძინა. ეძინა ხეებს, ფრინველებს, პეპელებს და ჭიებს. ეძინა საიბსაც და მფარველი ანგელოზი მის ძილს სდარაჯობდა.

უეპრად საიბი გაალენდა ფრთხილმა რახუნმა. მიიხედ-მოიხედა და სიბნელეში ეიღაც კაცი დაინახა.

— რა გნებავს? — შეეკითხა უპნობს.

— გთხოვ მასპინძლობას.

ეს სიტყვა დიდად საგულისხმიეროა აღმოსავლეთში. საი-ბი წამოდგა და სტუმარს მიეგება.

— მობრძანდი, — უთხრა მან. — თუმცა მეც მგზავრი და სტუმარი ვარ, მაგრამ სტუმარი ღეთისაა. ის პური, წყალი, და ესეც — ჩემი ლოგინი. დანაყრდი, მოკალ შიმშილ — წყურ-ვილი, დაწევი და მოისვენე. მოხუცი შემოვიდა, იგემა პური და წყალი და წასისვლელად მოემზადა.

— მშეიდობით, შვილო! — სოქვა მან და მძიმედ ამოიობრა. — დროა წავიდე. თუ შეგიძლია — დამითმე მშეირთათვის ეს პურის ქერქი.

საიბმა მთელი პური გაუწოდა.

— სად მიღიხარ? შენ დალლილი ხარ და ფეხებიც გი-კანკალებს, როგორც ბამბუკის ლერო სალამოს ნიავისაგან. დარჩი, ცოტა დაისვენე. პატივი დასდე ჩემს ლარიბ ქოხს: ღამე აქ გაათივი.

— არა, ჩემთ შვილო, — მიუგო მოხუცმა. — ორი წელი-წალი მაღაროებში მუშაობდი და აღბად არ გავიგია, რომ



ორი წლის განმავლობაში წევიმა არ მოსულია. ყოველივე ჩათხის მოისპო და ინდოეთის გზები საესეა გამხდარ, ღონებისდილ, ციებისაგან აკან კალებულ და შიმშილისაგან განაწამებ ხალხით. სოფლიდან სოფლამდი ხეტიალის დროს დედა განგებ სტოვებს გზაში ჩონჩხებად ქცეულ შეიღებს. მამა შეპბლავის ზეცას, შიმშილისაგან გამწარებული. აზვირთებულ მდინარე განგესს ათასობით მოაქვს მკედართა გვამები. გაუბედურებული ხალხისათვის ღვთის მოწყალების გამოსათხოვად აღთქმა დავსდე არ დავისვენო დაქან ცული სხეული, სანამ არ გაზრება მწუხარების ცრემლები და არ შეგროვდება ერთი წლის საყოფი პური და ფქვილი. მშეიღობით; ჩემო შვილო!

მოხუცი გაჩუმდა და კარებისაკენ ნაბიჯი გადასცა.

— შესდეგ, წმიდაო მიმავ! — შესძინა საიბმა. — საშინელების ამბავით განცვითრებულმა, კაც-მოყვარული გრძნობით აღსავსემ გაუწოდა მეორე აღმასი:

— მაგაზე ვამყარებდი იმედებს. შესაძლებელია სიცოცხლეც კი იმსხვერპლოს ჩაგის გაცემამ მაგრამ... წაიღდ.

— შენ გადაარჩინე ათი ათასი კაცი სიკედილს, — უპასუხა მოხუცმა და მიიმალა ღამის წყვდიადში.

სიიბი ჩაფიქრდა. ახლა ის უკვე ვეღარ იხილავს თავისუფლებას. საუცხოო ყელსაბმური, რომელზედაც ის ოცნებობდა, აღარ ვაკეთდება; ხელოვნური ნაშრომი აღარ დამშვენებს და აღარ მოუხვეჭს სახელს დიდ ხელოვანს. თავისუფლება და სიცოცხლე აღარ ეკუთვნის მას და ისეთივე ბელი მოელის, როგორიც იმ მონას, რომელიც ამ ერთი თვის წინად აღმასით გმოისყიდა. მაგრამ რა უყოთ? ახე უკარნახა სინიდისმა, და თუნდაც სიკედილით დასაჯონ, სიხარულით მიეგებდება და არ ინანებს. განა დაიშრებს სიცოცხლეს და თავისუფლებას, როდესაც გრძნობს, რომდენი კაცი გადაარჩინა და მონასაც თავისუფლება მიანიჭა?

სიიბი ისევ გაუდგა გზას. აი—სატახტო ქალაქიც. იგერ ჯივას სასახლის თეთრი კოშკები, რომლებიც ინდოეთის ლურჯ ცის

ქვეშ უფრო თეთრად გამოიყერება. ის—სისახლის ჭალებიკე, კრძალვით და ჩუბად შევიდა საიბი და გაეხვია გუნდრუეს საამური სუნით კაედენთილ ჰაერში. დაატებო შალრევანთა მომხიბლავმა ჩხრიალმა და ქალთა გუნდის მწყობრმა გალობამ. ჯივა წამოწოლილი სარეცელზე ოცნებით შეჰყურებს ყვავილებს.

— გამარჯვება, საიბ,—ეუბნება ჯივა. მან ის შორიდან ვე იცნო.—მოიტანე დანაპირი ალმასები? შესძლებ თუ არა გამიკეთო ისეთი ყელსამბური, რომლის მზგავსი არცერთ მეუეს არა აქვს?

საიბი მიუხსლოვდა და დაბლა თავდაკვრით სილამი მისუა მთავრინას. მთავრინავ,—მოახსენა მან:—მე სამი საუცხოო ალმასი მქონდა, მაგრამ გზაში დაეხარჯე. ერთი მივიღე ავადმყოფ მოხუცისაგან, იმისთვის, რომ არ შეუშინდი შეკირს და შეუმსუბუქე სიცოცხლის უკანასკნელი წუთები. დანარჩენი თრი მილირს ტანჯვა-მწუხარებათ, რომელთა სიმწვავეს ვერავინ ასწერს.

მთავრინას სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა.

— სად არის, რა უყავი?

— ერთი მათვანი მივეცი უმწეო ქვრივ დედაკაცს; მეორე მივეცი მონის დასახსნელად; მესამეთი კი დავაპურე ათი ათასობით ივადმყოფნი და მშიგრნი.

— მე რაღა მომიტანე?—შეეკითხა მთავრინა.—მე თრი წელიწადი მოუთმენლად მოგელოდი და ვითვლიდი დღეებსა და საათებს შენს მოლოდინში!

საიბი კიდევ უფრო მიუხსლოვდა ჯივას და დაიჩოქა.— მე მოგიტანე, მთავრინავ, თრი უძვირფასები ალმასი. მათზე უძვირფასები და უმშეენიერები ქვეყნად არა არის რა. ეს არის—ჩემი სიცოცხლე და თავისუფლება. შეგიძლია მოსპონ თრივე; არც არავინ მოგოხოვს პასუხს; მაგრამ იმასთანავე შეგიძლია მათვან საუკეთესო სამეული გაიკეთო, — მოიხმარე ისინი

სხვու სასարցებლուდ.—ის მორჩილու მოյելու და ფაფუს-ჩედენებ  
გადაწყვეტას.

ჯივა-კი უცქერდა აღტაცებით. ის ფიქრობდა, რომ იწ-  
ყება ახალი სიცოცხლე, გონივრული მოღვაწეობით იღხავს,   
და ის ითავი ადამიანი, რომელთაც იგი ამაყად ზემოდან და-  
ჰყურებდა, სწორედ ის აღმასები არიან, რომლებზედაც იგი  
ამდენ ხანს ოცნებობდა და მათთვის მზათ იყო სიცოცხლეც  
გაეწირა. ჯივა ჩამოვიდა სარეცელიდან, მივიდა საიბთან და  
ხელი გაუწოდა.—წამოდი, —უთხრა მან საიბს.

— სად?

ჯივამ ხელი გაუწოდა დარიბ ქოხებისაკენ მოებში.

— იქ საკიროა შეელა,—სთქვა მან.—თუ აღამიანი ალ-  
მასზე უკეთესია, მას შეუძლია გააკეთოს მოყვასისათვის მეტი,  
ვიღრე მოელი ქვეყნის განძულობას. მაშ დროს ნუ ვკარგავთ  
და მაშერალთა დამშარებას დავეშუროთ.

ისინი გაემართნენ მოებისაკენ.

განვლო ორშა წელმა. ჯივას სასახლეში ზეიმი იყო.  
აუარებელ ხალხს მოეყარა თავი მთავრინას სასახლის ბაღებ-  
ში და ელოდებოდენ, როდის მოვლენ თვალ-მარგალიტით  
შემკული დინჯი სპილოებით ჯივა და საიბი. აივნების მარმა-  
რილოს მოაჯირებს გადმოსდგომოდნენ ცნობის-მოყვარე ქა-  
ლები და გზაზე სურნელოვან ვარდის ფოთლებს ჰუენდნენ.  
აი, გამოჩენდნენ ისინიც. მოდიოდნენ ფეხით ტაძრიდან სასა-  
ხლისკენ. ხალხი აღტაცებით ეგებებოდა. ფეხქვეშ պვავილებს  
უფენდა. ახლა ისინი ცოლ-ქმარიი იყვნენ. ნახევარი საօთას წი-  
ნად დიღმა რაჯამ მათი სიცოცხლე საუკუნოდ შეიკავშირა.  
ჯივა უბრალოდ იყო მორთული. ყელზე ეკრდა საიბის გა-  
კეთებული ყელსაბმური, რომლის მზავსი ქვეყანაზე არაერს  
ჰქონდა.

— სად არის ორი აღმასი, ჩემო ქალბატონო?—მიმარ-  
თა ჯივას მხევალმა ზელიმამ.—სად არის ის ორი აღმასი, რო-

მღის საძებნელად ისე შორს გაგზავნე ჩვენი ეხლანდჭროს მიეცავა  
ტონი.


ჯივამ გაიღიმა და უჩვენა საიბისა და თავისი გული.

— აი აქ, ამ მკერდ ქვეშ ანაძერი გულია...

და სიყვარულით შეხედა თავის მეულლეს. ბალებში კი  
ისევ გაისმოდა მუსიკის ხმა, გალობდა მომლერალთა გუნდი  
და ისმოდა დაუსრულებელი ვაშა.

ეღ. ჭიჭინაძე.





## ნიკოლოზ ბარათაშვილი

**ნ**იკოლოზ ასი წელიწადი შესრულდა ამ წლის 22 გიორგობისთვეში ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან. ვინ იყო იგი, ან რა გააკეთა ჩვენი მწერლობისთვის? ვიცი, გეცოდინებათ, რომ იგი დიდი მგოსანი იყო, შაგრამ მარტო ასეთი ცოდნა არა კმარა. საჭიროა ვიცოდეთ, თუ

რატომ არის იგი „დიდი“, რაში გამოიხატება ამ მარტინის ციფრული სიღიადე.

უწინარეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ ბარათაშვილისთანა დიდი მგოსნები სხვებიც გვყვანან. ჩეენისთანა პატირი ერისთვის უყვლანი ერთად კეპლურ თანავარსკვლავებს წარმოადგენენ.

ილსანიშნავია, რომ ბარათაშვილის ამ თანავარსკვლავების რეალში არა ვხედავთ. იგი მეტეს-მეტად თავისებური მგოსნია. მას ჩეენს მწერლებში არ ჰყოლია წინამორბედი, არც თუ მემკვიდრე დაუტოვებია ვინშე. ამიტომაა, რომ იგი განმარტოვებით სდგას, როგორც ცისკრის დროს ობლად გაკაშებული შუქურ-ვარსკვლავი. როგორც თვითონ დაახასიათა თვისი მდგომარეობა — „ობლომი“, ისეთივე ობოლია დღესაც, როგორც „მწირი“, „შეუსაფარი“.

მაგრამ რას ნიშნავს მგოსნის ასეთი „ობლომბა“, სიცოცლეშიც და შეძლებულიც „შეუსაფრობა“?

თქმა არ უნდა, უყვლანი სიკედილის შეილები ვართ. გვეხოცებინ მშობლები, კობლდებით; შემდეგ ჩვენც გათ კვალს მიესდევთ. მაგრამ ბარათაშვილის ობლომბა ასეთ ობლომბას როდი ჰყულისხმობს. აյი თვითონაც ამბობს დასთან მიწერილ ერთს თავის წერილში:

„არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მომძულებია ამდენის მარტობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი, და მაინც ვერეის მიჰყარებია, — მაინც კადევ ობოლია იმ სახეს და ვრცელ სოფელში“.

მართლაც დიდ-ბუნებოვან ადამიანთა ცხოვრებაში ხშირია ასეთი შემთხვევა, როდესაც დედაც ჰყავთ, მამაც, ნათესობაც, მაგრამ მაინც ობლებად გამოიყურებიან, ეს იმიტომ, რომ, როგორც აჩეულნი შეიღინი, ჩვეულებრივ საზოგადოებაზე გაცილებით მაღლა სდგანან მთელი თვისი გრძნობით, გონებით, — ამიტომაა, რომ მათი სიტყვებისა არა სმით-



რა, ხშირად დასკინიან კიდევ. სეფთ შემთხვევაში აშრიშულად არა  
წუხილის მეტი არა დარჩენიათ-რა, და არა თუ წუხილი, თვით  
ერთგვარი სურეილი—რაც შეიძლება იღრე და მაღლე განშორ-  
დნენ ჩვეულებრივ მომაყდავთა წრეს და საღმე უდაბნოში  
ცოვონ დასვენება. მაგრამ თუ ვერ განშორდა ამ წრეს, მა-  
შინ სეფთი რჩეული იდამიანის ცხოვრება ტყდება, წვრილმან-  
დება და უჩინრად ჰქონდა.

ნიკ. ბარათაშვილი სწორედ ამ უკანასკნელ იდამიანთა  
ჯგუფს ეკუთვნის. ბედმა თითქოს განგებ გიუსაჯა, რომ კე-  
კლუპი მისი ოცნებანი და ფრთა-შესხმული ფიქრები სინამ-  
დევილის მეცაცრი მაკრატლით შეკვეულიყო. ამიტომ იყო,  
რომ პოეტის ცხოვრება, ოცნებანი და სინამდევილე ერთმა-  
ნეთს დაპირებოდნენ, როგორც დღე და ღამე. ის თითქოს  
ნაადრევად დაიბადა, როგორც წინასწარმეტყველი ევლინება  
თავის ერს დამიტორების ეამს. ამ მხრივ, მართლაც, 1816 წ.,  
მისი დაბადების დრო—სწორედ შეუფერებელი იყო მისი  
დიალი ნიკის გახაფურჩენელად. ჩვენი სამშობლო ამ დროს  
საშინელებას განიცდიდა. სულ რაღაც თხუტმეტიოდ წელს  
გაევლო, რაც იგი რუსეთის შეუერთდა, და ეს თხუტმეტიოდე  
წელი საკმარისი იყო ქართველთა რწმენისა, ძველ ჩვეულე-  
ბათა შესარყევად, მთელი ცხოვრების იღსარევად და საწე-  
რად. მთელი ჩვენი ქვეყანა უპატრონო ფარის ირმოადგენ-  
და. მეცე ალარ გვყავდა. სოფლებს მემამულეები ჩამოშორ-  
დნენ და ქალაქს მიაშურეს, სიდაც დაყიდულ მამულების ფუ-  
ლით ლიხინსა და ქიფს ეწეოდნენ. თვით სოფელი კი სარ-  
ბევ და სანადიმო ასპარეზად გარდაიჭირა. ახლად ჩამოსული  
რუსის მოხელეები მრავლიდ მოდევნენ სოფლებს და მათ  
რბევა-აწიოკებაში იყვნენ. ვინ იყო უფროსი, მბრძანებელი,—  
არავინ იყოდა. ვისთვის მიემართათ სამართლისთვის,—რაც  
ეს იცოდნენ. ქართველი გლეხობა უენო საქონელსა ჰგავდა.  
ახალ ბატონ-პატრონების ენა არ ესმოდა და თვითონაც ვერ-  
ვისთვის შეეგნებინებინა თავისი გახაჭირი, თავისი აუტანელი

მდგომარეობის კითარება. ასე მოსხანდა, თითქოს ღმურულსაც კუთხით  
და კაცაც სრულიად ხელი იყო ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალ-  
ზე, თითქოს ერთსაც და მეო-  
რესაც მოსძულებოდათ მისი  
არსებობა და რაც შალე დაიღუ-  
პებოდა იყი, მით უკეთესი იქნე-  
ბოდა. ძნელი, მეტად ძნელი და  
საშინელი იყო ეს დრო!

თეითონ ნიკოლოზის მა-  
მაც, მელიტონი, ერთი ასეთი  
შეძლებული თავადი შეიღი იყო,  
რომელმაც აღრევე გაანიდგი  
მამულ-დედული და პურად მას-  
პინძლის სახელი გაითქვა თბი-  
ლისში, საღილებისა და ზემების  
მართვით, ვიდრე წელი მოსდევ-  
და, ვიდრე ქონებას გამოჰლევ-  
და. აი, ასეთს უფერულ ცხო-  
ვრებაში უჩდებოდა აღზრდა  
პატარა ტატოს, როგორც ამ  
დროს ეძახდნენ ნიკოლოზს. პირველად, მართლაც, სამა-  
გალითოდ იღებს მამის ხელვაშლოლობას. ესეც ლხინისა და  
ქეიფის მოყვარულია. ეს ასედაც უნდა მომხდარიყო. მკეირ-  
ცხლი ბავშვის გარშემო შხოლოდ ღრიან ცელი, თარისა და  
სიმღერების შეტერი არა ისმოდა - რა. თეითონ ნიკოლოზიც  
როდი შმაღავს ამ გარემოებას. მის წერილებში არა-ერთ-  
ხელაა აღწერილი თავის უფალი ქარაგმებით, თუ სად რო-  
გორ ქეიფს ეწეოდა და სხვა. ერთი სიტყვით, თბილისში  
უფანა, აქ ტრიალი, მოსხის სიტყვებით რომ ვსთქვათ, წარ-  
მოადგენდა „გონებისა და გულის სრულიად უსარგებლო და  
უუქაცატ“ ცხოვრებას საზოგადოდ, და მით უმეტეს — მისებრ  
ლეთისაგან უხვალ დაჯილდოებულ, ნიჭიერ ადამიანისთვის.



ნ. ბაჩათაშვილი

(ი. ა. აუგის მუზეუმის ქადაგებაში, ნამუში).



ნიკ. ბარათაშვილს სრული დაღუპვა მოელოდა. რაც უნდა იყოს, მშობლებს მის აღსაჩრდელად ბევრი არ უზრუნველით, ცხოვრების სკოლიდან კი ატაცებულ გონებისა და გულის შემრყვნელ ფუქსავატობის მეტს არას შეიძენდა. თუ ვადარჩა მგოსანი სრულ დაღუპვას, ეს აისწნება მისი მკეირუსლი ბუნებით და ლვითიური ნიჭით. მას არ აქმაყოფილებდა შინაური სწორელი. რა სათქმელია! კალოუბნის სამრეცლო სკოლა და რაღაც კეთილშობილთა სასწავლებელი, რომელიც შემდეგ გიმნაზიად გადაკეთდა, როგორ დააკმაყოფილებდა მგოსანის ზღვა-გონებას, მის მისწრაფებას. და აյი კიდეც მგოსანს სწყუროდა მეტი, უფრო ფართო განათლების მიღება, ფართო ასპარეზი. ეს ასპარეზი მან სამხედრო ცოდნის მიღებაში დაინახა. ნუ ვავკვირდებით, თუ ეს ასე მოხდა. იმ დროს სამხედრო მეცნიერება ყველაზე პატივცემული იყო. სიმამაცე ყველას აღაფრითოვანებს. ბარათაშვილსაც სწყუროდა ასეთი მამაცობა. შამილის ვანსაკუთრებული გმირობა რომ მხედველობაში არ მიეიღოთ, საქმირისია ვავისხენოთ ნაპოლეონი. მართალია, ამ დროს ის უკვე აღარ არსებობდა, მაგრამ მისი სული ისევ ცოცხალი იყო და ზღაპრული ამბებით გადადიოდა ერთი ქვეყნიდან მეორეში. ამ სარდლის უზომო თაყვანისმცემელი იყო ბარათაშვილი. აյი მის სახელს შესძლვნა ერთი საუკეთესო ჰიმი „ნაპოლეონი“. შეშ რა გასაკვირველია, თუ იგი, აღფრითოვანებული, სამხედრო სასწავლებლის კარის შესალებად მიიწევდა? ჩენდა საბედნიეროდ, თუ საუბედუროდ, ბარათაშვილს ფეხი მოსტყდა ყმაწვილობაში და მის სურვილებსაც ნააღრევად ფრთა შევეკვეცა.

ასე სამხედრო სასწავლებელში არ მოუხდა შესვლა, მეოსანმა მოისურვა უმაღლესი სწავლა-განათლება მაინც მიეღლო უნივერსიტეტში. მაგრამ აქაც გაუტარუვდა იმედები. მშობლებმა, როგორც დაინახეთ, აღრევე გაანიავეს თავიანთი ქონება და ახლა ხსნას შეილისგან მოელოდნენ. ნიკოლოზიც იძულებული შეიქნა სამსახური მოეძებნა და ეს სამსა-

ხურიც, ჩვენდა სავალალოდ, უბრალო მოხელეობაში და მათ გადასაცავი გადაყენამ, უზომო შრომამ და ჰავის გავლენამ ნახირევანში ყოფნის დროს მგოსანი და-სუსტა და ჯერ კიდევ ჭაბუკი, 29 წლისა, გარდაიცვალა 1845 წ., 9 ღვინობისთვეში. ჯერ განჯაში დაასაცლავეს, ხოლო შემდეგ, 1893 წ., მისი ნერტი გადმიატანეს თბილის-ში და დიდუბის გალავანში დაასაცლავეს.

ასე უილბროდ ჩინარა მგოსნის სიცუპხლემ. მას ცხოვ-რებაში არცერთი სურვილი ახდენია. ამიტომა, რომ მის ლექსებში მარად უკმაყოფილების კილო მოისმის, ხშირად — ხა-უკედურის ხმაც.

„მას უქადას ჩემს ცხოვრებას, უმაწვიდ-კაცობას?“

ეკითხება ხშირად თავის ბედს მგოსანი:

„მარქვი, რა ძქმენენ საკვარყველი ესე აღთქმანი?“

ასე შეუჩივლია ბედისთვის მგოსანს, მაგრამ არცერთ მის შეკითხვაზე პასუხი არ მიუღია. თავნიალუნული, ცხოვრე-ბის ტვირთ ქვეშ გასრესილი, ბარათა შეილი ყოველისფერის ექვით უყურებდა. მას აღარ იხილებდა რა, აღარაფრისა სჯე-როდა. ამ ექვებმა, რწმენის და ამარგვამ მგოსანს ვერ შეაგნე-ბია ნამდვილი თავისი მოწოდება. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მას არც კი ესმოდა თუ მგოსანი იყო. თუ სწერდა რას-მეს, თავისითვის, ან და მეცობართათვის. მისი წერილებიდან სჩინს, რომ თვით მისი თვალსაჩინო ლექსი „მერანი“, რომე-ლიც სამართლიანად ითვლება არა თუ მისი პოეზიის, არა-მედ მოელი ჩვენი ლიტერატურისა და მსოფლიო მწერ-ლობის მარგალიტად, მას დაუწერია შამილის მიერ დატყვე-ვებულ ერთ ქართველის ბედის შესამსუბუქებლად. ინ, მისი აღსარებაც: „ილიას ტყვეობა რომ შევიტყე, ძალიან შევ-წუხდი. სამი დღე გაბრუებული ვიყავ. ათასი უცნაური ფიქ-რი და სურვილები მაწუხებდა. რომ ეკითხათ კი ჩემთვის,

მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს, მესამე დღეს, ეს ლექსი („მერანი“) დავწერ, და თითქოს ამან რამაცა შევბა მომუა. ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მივაწოდო. ვიცი, გულში ჩაიცინებს, და არ იქნება, რო არა ენუგეშს რა“.

მიაწოდა თუ არა მგოსანმა ეს ლექსი ტყვეს, მართლა იამა თუ არა ილიკოს მისი წაკითხვა, ეს როდი გვეინტერესება, არამედ ის, რომ იმ ლექსის დაწერა მგოსანში გამოიწვია კეთილმა სურვილმა, მეგობრის ნუგეშის ცემამ. მაგრამ ციურმა ნიჭმა მას მოსვენება არ მისცა, სამი დღე სტანჯა, აწამა, ვიდრე მშვენიერ ნაკადულსავით არ გადმოაჩუქნებინა იგი. იმნაირად, მგოსანსაც თვითონ არ ესმოდა, თუ რა უკვდავების ძეგლს იდგამდა მსოფლიო მგოსან-მთაზრეთი შორის იმ მშვენიერი ლექსით, რომლის შინაარსი შესაძლებელია სრულიადაც ვერ გაიგო იმ დროინდელმა ქართველმა ტყვემ.

მთავარი კილო ბარათაშვილის პოეზიისა—სევდაა. ხაპირადო რომ გადავდოთ, მგოსანს სხვაფრივაც არა ჰქონდა რა გასახარელი. დავაუკაცებისას იგი უკვირდებოდა ქართველთა ცხოვრებას და მწარედ უკვნესოდა გული. ხომ დავინახეთ, რა გაქირვებას განიცდიდა ჩვენი სოფელი. განა სატირელი არ იყო იმედის გატრუება, მერე ისეთი ქვეყნის მხრით, რომ-ლისგანაც ჩვენი ქვეყანა შველისა და პატრონობას მოელოდა? მკმუნეარე, შეწუხებული მგოსანი იხლა საქართველოს ბედს დაცურებს, ამასა სწილობს. იმ დაკვირვებისა და შესწილის ძეგლად მან დაგვიტოვა თავისი უკვდავი პოემა „ბედი ქართლისა“, სადაც მგოსანი ორკვევს იმ აზრს, თუ რად და რისთვის შეუერთო მეფე ერეკლემ საქართველო რუსეთს. მგოსანმა მეტად მარტივი ფერადებით დაგვიხატა ჯერ საზოგადო მდგომარეობა შეერთებამდე, 1795 წ. მძვინვარე ალა-მალ-მალხანის შემოსევა თბილისში, მეფის გაქცევა და შემდეგ დაბეჯითებით გარდაწყვეტა საქართველოს რუსეთთან შეერ-

საბოლოო განხილვება  
განხილვების მიზანი



ნ. ბარათაშვილის სურათი ნაპოენ სურათიდან გადაღებული.

თებისა. თუ რა შედეგი მოჰყვა ამ შეერთების, რამდენიმე უმართლდა მეცე ერეკლეს იმედები, სინს ამ პოემიდან. საქ-მარისი იყო გენიოს ხარდლის გადაუცალება, რომ ყოველის-უერი უკუღმა წასულიყო. თავი იჩინა სასახლეში ირეულობაში. ტახტი გაუქმდა. ახალი მოვაკშირენი ჩვენ ხალხს უდიერად მოეპყრნენ. დაბალი წოდების რბევამ და უსამართლოდ მოპყრობის ხმამ ცა შესძრა; მაგრამ შველა მიინც არა ნახა. მესვეურნი კი მსნელთა და დამცველთა მოვალეობის და გადაფვარების გზას იდგებიან. პოემის გმირს სოფიოს „უწინამც დღის დალევა“ ურჩევნია, კიდრე უცხოელთა შორის ფუფუნებაზე ხელს მოაწერდეს, როგორც „დატვირებული ბულბული“ ოქროს გალიისთვის; ქმარს, ბრძენ სოლომონს საყვედურით შემნიშვნაეს:

„უცხოობაში რა სიამე?  
სადაცა კერძის იქარებს სული  
და არს უთვისო, დათბლებულია.“

ბარათაშვილის დროინდელი ქართველობა არხეინად გაიძინოდა:

„ჭანი გაფარდეს აწ შეიძლეაც, მაშედს,  
ოდონდ კაამოთ წესს საჭეთანის გედს.  
რის ჭართველობა, რა ჭართველობა!  
მითომ რას გავაკებს უცხო ტომობა?“

ასე ღრმად და დაკვირვებით დაგვისურათა შეოსანმა ძველი დედა სოფიო და თანამედროვე დაქვეითებული ქართველობა, რითაც შემდეგში უნდაურიად ტონი მისცა ილია ჭავჭავაძეს „ქართლის დედის“ დასაწერად, ხოლო იკავის — „ღმეურა“-სი, როგორც გადაფვარებულ დამიინის ტიპისა, და „ნათელა“-სი, როგორც სიმბოლო ჭეშმარიტი ქართველი დედისა!


ჩვენ მეტად შორს კინებით ნ. ბარათაშვილის პოეზიის დახასიათებიდან, თუ მარტო „ბედი ქართლისათი“ დავქმაყო-


ფილდებით. თუნდა იგივე „მერანი“ რომ ავილოთ, ზოგი უნდა  
და პატარა მოსაზრებით დაეწერა მგოსანს იგი, მაინც მხოლე.  
ლით შეერალთა შორის საპატიო აღვილს უთმობს მას. ასე-  
თივე მისი „შემოლამება მთაწმილაზე“, „ფიქრი მტკვრის პირ-  
სა“! და სხვა, სადაც საკაცობრიო აზრები და დარიგებანია  
ცხოვრების სახელმძღვანელოდ.

„არც გაცი გარგა, რომ ცოტხადა შეკდარსა ემზგავსთს,  
იყოს სოფელში, და სოფელს კა არა რა არგოს—ო!

გვეუბნებოდა მგოსანი. მიგრამ რამდენია ასეთი მარგა-  
ლიტი, გაბნეული მის პატარა ლექსთა კონაში,—ვინ მოსთვ-  
ლის. ყველა სათითაოდ ძვირფასია, შესასწავლი. კეშარიტად  
სათაყვანოა ასეთი კაცი. ქართველმა ერმა მისი უდრიოთ და-  
კარგვით დაჰკარგა ისეთი გენიოსი, რომლის მზგავსი შოთას  
შემდგომ აღარ გვინახავს.. .

დ. კასრაძე.






## ჩვენი საშოთლოს წელები

გაზაღვის ტა

ტბი ლოვილებს, ტბა თიშეშის  
ტოლით ჯირი დახირილებს,  
ნივი შენის ნიზი, გრილი,  
ლერწმის ტყები ცხირილებს.

ც



ომხიბლავია ჩვენი საშოთლოს ბუ-  
ნება, კეკლუტი და თვალწარმტაცი.  
მის სილამაზის სახელი ძალიან შორს  
არის გავარნილი. ცნობილი ქარ-  
თველი შეერილი რაფიელ ერისთავი  
მას ქვეყნიურ სამოთხეს უძინის და  
ირკ უსაბუთოდ. საქართველოს ამ-  
კობენ მაღალი მთები სპეტაკი თოვ-  
ლით, დაბურული ხშირი ტყით და მობიბინე ხავერდოვან ბა-

ლახით შემკული, ხან-და-ხან კლოვანნი, პირქუშჩი, მიკულა  
კარებელნი, რომელზედაც ფრინველთა მეფეს, ათწილშე ასაკის  
გაუბედნია საღვურის ოშენება, ან გამწარებულ ქურციკს და  
ჯეირანს თუ შეუფარებით თავი, რათა დამალოდნენ მონა-  
დირის ტყვიას, თორებ სხვა ვინმე ვერ გაბედავს შელახვას,  
მიკარებას და მიკედლებას: საშიშია და სახიფათო.

ჩვენ სამშობლოს ამკობენ შშვენიერი მინდერები და ვე-  
ლები ცელქ მდინარებით და მოცახუახე ნიკალებით დასერი-  
ლნი, რომლებზედაც მიმობნეულიან სოფლები და დაბა-ქა-  
ლაქები, როგორც თქმომკედზე ძვირფასი და ფასდაუდებე-  
ლი ქვები.

ესლა წარმოვიდგინოთ ისეთი ადამიანი, რონელიც ლა-  
მაზია, მშვენიერი, მაგრამ არაფერი იცის სრულიად თვის სი-  
ლამაზე—სიშვენიერისა; ასეთი ადამიანი მაშინ შეატყობის  
თავის სიტურფეს, როცა სარკეში ჩინხედავს.

და ჩვენ კეკლუც სამშობლოს თავის სილამაზე, სიტურ-  
ფის დასანახვად აქვს თავისებური სარკეები; ეს სარკეები  
არიან ტბები, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში მიმოფან-  
ტულნი.

სუკველაზე ბევრი ტბები არის საქართველოს იმ ნა-  
წილში, რომელსაც ეწოდება ჯავახეთი (ახალქალაქის მაზრა).  
მაგრამ ჩვენ სამშობლოს სხვა კუთხეებიც არ არიან მოკლე-  
ბულნი ტბებს.

ერთ ამისთანა სარკე-ტბათაგანია—ბაზალეთის ტბა.

ეის არ წაუკითხავს მშვენიერი ლექსი ილია ჰავჭავაძი-  
სა სათაურით „ბაზალეთის ტბა“, დაწერილი 1883 წელს, სა-  
დაც პოეტი მოგვითხრობს, რომ—

„ბაზალეთის ტბის ძირას  
ოქროს აკვანი არისო,  
და მის გარშემო წყლის ქვეშ  
უცხო წალკოტი ჰყავისო...“

ეს აკვანი ჩაუდგამს თამარ მეფეს, და ზედ ქართველ ერს ცრემლის ტბა კარვად გადახურავსო. შოთლოდ ის კი არვინ იცის, თუ ამაკვანში ბრწყინვალე თამარმა ვინ ჩაწევინა, ან ქართველმა ერმა ცრემლი რად დაადინა; პოეტი ფიქრობს, რომ შეიძლება აკვანში ის ყრმა წევს, რომელსაც შეუძლია ქართველ ერს ბედნიერება მიანიჭოსო, და დასძნს, რომ ბედნიერი იქნება ის კაცი, ვინც ამ აკვანს ამოიღებს ტბის ძირიდანათ, და უფრო ბედნიერი იქნება ის დედა, ვინც ძუძუს მიაწვდის აკვანში მწოლირე ყრმასო.

ამ ეს ტბა, რომელზედაც ილია ჰავეავაძემ ზემოსხენებული ლექსი დასწერა, მდებარეობს ქვემო ქართლში, ანუ თბილისის გუბერნიაში, დუშეთის მაზრაში, თვით სამაზრო ქალაქ დუშეთის დასავლეთით ექვსი თუ ხუთი ვერსის სიშორებე.

ბაზალეთის ტბა გაქიმულა ამავე სახელობის სოფლის წინ მდებარე გულ-ლია ველზე, რომელსაც აღმოსავლეთით საზღვრავს დუშეთის ხევი, სამხრეთით—ტინის მთა, დასავლეთით და ჩრდილოეთით—ტყით მოსილი გორაკები; ზური მოუმწყვდევიათ ტბა, ეით პატიმარი, და თვის ძუძუთაგან ნადენ ნაკადულებით ასაზრდოებენ მას.

ეს ტბა მდებარეობს ზღვის ზედა პირიდან დაახლოვებით 3100 ინგლისურ ფუტის სიმაღლეზე. ფორმით იყი არც ერთ სწორე ფოგურას არა ჰგავს, მიმზგავსებით კი წიაგევს თხეკუთხს; სიგრძე ექნება სამი-ოთხი ვერსი, ხოლო სიგანე—ერთი ან ერთ-ნახევარი ვერსი.

ბაზალეთის ტბა მოხსენებული აქვს ბატონიშვილ ვახუშტის, მე 18 საუკუნის გამოჩენილ მწერალს, თავის საქართველოს გეოგრაფიაში; ვახუშტი იგვიწერს მის ირგვლივ მდებარე აღვილებს და სოფლებს და შემდეგ დასძნს: ამ სიმრავლის შორის არის ბაზალეთის ტბა, რომელსაც ეწოდების დაბის გამო; აქვს ბაზალეთს აღმოსავლეთით არაგვი, სამ-

ხრეთით ციხე ბოდეისა და ტინის მთა; არს აქ ტბა ბეჭისალებული და უთევნო, თისა დუშეთის წინა მდებარე და არს ურგები და უთევნო, წურბელით მრავალი, სხედან ფრინველი მრავალნი; არიან ტბის გარშემო დაბები ვენახოვანნი, ხილიანნი, მოსავლიანნი და უწყლობით არა მრავალ ნაყოფიერნი; არიან მცირე წყარონი დაბნებთა, ჰაერთა მშვენი და კეთილი; კაცი მებრძოლნი”.

ვახუშტი ბატონიშვილი თუმც ამბობს, რომ ტბა იგი არს უთევნო, მაგრამ ეს ნამდვილი არ არის; ბაზალეთის ტბაში მრავალი თევზი ბუდობს; თევზის სიმრავლე სწორედ გასაკვირველია; როცა კაცი შედის ტბაში, თევზი ფეხებში ედება. თევზის სიმრავლე წარმოსდგება შემდეგ მიზეზისაგან: ტბაში ბუდობს თხელი თევზი, ნაფორა თევზის მინაგვარი, სიგრძით ხანდახან თითქმის არშინამდის; იგი ძალიან უგემურია, ამიტომ მეთევზენი არ ეტანებიან; ათასში ერთხელ თუ კინშე დაიკერს იქ თევზს, მით უშეტეს, რომ იქვე ახლო ჩამორბის არაგვი, რომელმაც ეგზომ გემრიელი თევზი იცის. ტბაში კი თევზი ყოველწლივ ქვირითს ჰყრის და მრავლება.

შეიძლება ბატონიშვილი ვახუშტი არცა სტუურდეს და იმის დროს იქნებ ტბაში თევზი არ ბუდობდა სრულებით, მხოლოდ შემდეგ კინშემ მოაშენა.

ბაზალეთის ტბა არ არის სრულებით უსირვებლო; ტბაში ბუდობს მრავალი წურბელი, რომელსაც იქტერნ მრავალი სოფლელი დასტაქრები და დალაქები და ხშარობენ სისხლის გამოსაშეებად ივადმყოფის სხეულიდან.

თუმცა ბატონიშვილი ვახუშტი ამბობს ბაზალეთზე, რომ იგი „ჰაერთ მშვენი და კეთილია“-თ, მაგრამ არც ეს არის ჰართალი. ამ ტბის გარშემო დაგილები ძალიან ციებ-ცხელებიანი არის. ეს ციებ-ცხელება უფრო იმათ სწყენთ, ვინც

მკეიდრი არ არის ამ აღგილისა და უცხოდ მოხვდება და ჭრის მიღმოს.

ბაზალეთის ტბის ახლო მოსახლობენ შიდა რუსეთიდან გადმოსახლებული რუსები, რომელნიც ძალიან იტანჯებიან ამ სენით; ეს რუსები გადმოსახლებულნი არიან იმ შიზნით, რომ მკეიდრმა მცხოვრებლებმა, ესე იგი ქართველებმა, შეითვის-შეისწავლონ მათგან ენა, ზნე-ჩვეულება და სხვა; მაგრამ რუ-სები ივიწყებენ ყოველივე საკუთარს და ითვისებენ ქართულ ენას და წესებს. ამ რუსებს შორის შეხვდებით ხშირად გა-ყითლებულებს, ფერ-წარსულებს: ეს სულ ბაზალეთის ციფ-ბის ბრალია.

ლამაზია ბაზალეთის ტბა თავისი მოყვითალო ფერით, რომელიც წარმოსდგება ძირის თვისებისაგან.

ლამაზია იგი უფრო ზაფხულის დილით, მზის ამოსვლის ეპის, ქარგი სანახვია; ცაში აქა-იქ გაბნეულიან თეთრი ქუ-ლი ღრუბლები შეღაელაერებულ ნაპირებით, თითქოს გზა და-პბნეოდეთ და არ იცოდნენ სიოთ წავიდნენ, სად მოსებნონ თვისი სიღვრი, თვისი ბინა; ყველა ეს ღრუბლები ბაზა-ლეთის ტბის ან ქარა წყალში, როგორც საჩკეში, ისე იხა-ტებიან და იფერადებენ, მის წყალს. დასავლეთიდან ან ჩრდი-ლოეთიდან მონაბერი დილის ცელქი სიო ალივლივებს ტბის ზედაპირს, უკრთობს სიმშეიდეს, აშეოთებს, აზვირთებს და ამ ზეირთებს მიერეკება ნაპირისაკენ; იგინიც ხალისით მირ-ბიან, მისდევენ ერთი მეორეს და სიყვარულით და სიხარუ-ლით გამბორებიან ტბის ლამაზ, ზურმუხტოვან კიდეებს.

ნაპირები ტბის სულ ერთი თვისებისა არ აქვს. სუკუელა-ზე ქარგი ნაპირი, საიდანაც შეიძლება კაცი მიუდგეს ტბის, მივიდეს პირდაპირ მის წყლამდის, არის აღმოსავლეთისა; იგი ქვიშიანია, კენჭებით მოფენილი; ამ ნაპირიდან მთელი ტბა ისე მოსჩანს, როგორც ხელის გული. სხვა ნაპირები მომ-ტებულ წილად ჭაობიანებია, ლერწამიანი, ისე რომ წყალ-

თან მისელა ამ ნაპირებიდან თითქმის შეუძლებელია მაგალითი ნაც რა ტალახში ჩაითლობა კაცი; ეს ითქმის მომეტებულად სამხრეთის ნაპირებზე, რომელნიც სხვა ნაპირებზე დაბლები არიან და გაზაფხულობით წყალი იქაც არის ხოლმე. შემდეგ წყალი თუმც შრება, ჰქრება, თვალსაჩინო აღარ არის, მაგრამ ნიადაგი ნესტიანი, სველი და ტალახიანი რჩება; ამ ნაპირზე საარული ცოტა არ იყვნე სახიფათო ხდება; კაცი შეიძლება ჩინფლოს და იმოსელაზე ძალიან ეწვალოს და იქნებ ვერც დაახშიოს თავი ბაზალეთის მსრუტავ ტალახს.

აღმოსავლეთით ტბის ნაპირი მოტიტვლებულია, არაეთ-თარი მცენარე არ არის; მხოლოდ ორი სამი საეჭნის მოშორებით წყლის პირიდან იწყება მწვანე მობიბინე ბალახი და წყლის პირიდან ხუთი ეჭვის საეჭნის იქით უკვე ხნულებია გაქიმული. თვით ნაპირზე კი კენჭები ჰყრია, წვრილ-წვრილი ჩინჩხვარი, ხის ნატეხები, დამჭენარი ბალახი; ეტყობა აქ რამდენიმე ხნის წინად წყალი ყოფილა და შემდეგ, საქართველოს მზის ცხოველმყოფელ სხივების გავლენის გამო წყალი დამშრალა და, ეით დამარცხებულ მტერს, უკან დახევის დროს, არაფრი ხეირიანი არ დაუტოვებია; მხოლოდ უნაყოფო ქვიშნარია, მწვანე ბალახსაც კი მოკლებული.

სამხრეთით ამ ტბისა თვით წყალში არის ამოსული მრავალი ლერწამი; ეს არის ტყე ლერწამისა, ტყე უგზო-უკვლო, გაუფალი და ხშირი. ამისთანავე ლერწამის ტყე არტყია ტბას ჩრდილოეთით და დასავლეთით. ამ ლერწამს იხლო-მხხლო სოფლების მცხოვრებნი ხმარობენ სხვა-და-სხვა შენობის დასახურავად, ყავრისა და კრამიტის მაგირ, ან კიდევ ნაცვლად წალამისა. ამ მხარეს შეხვდებით ბევრ საბაკლის, ლერწამით გადახურულს; ეს სულ ბაზალეთის ტბიდან არის წამოლებული, იქ არის მოკრილი, და ერთხელ მწვანე, ახლა გაუყითლებულა, ფერი შესცელია, სიკედილი მიჟარებია. ეს ლერწამი იქ ამსახლე რუსების სახლებსაც კი ჰქონდეს.

ჯერ ერთი ახალგაზიდა მგოსნის არ იყვეს:

„მდუმარე ტბაზე სიჩუმეს სძინავს;  
„ისლოვან ნაპირს არ არხევს ქარი“.

ტბას მართლაც თითქმის ჩიუთვლემია, დასძინებია; არ იძერის, არ ინძრევა; ირგვლივაც მყუდროობაა; სიჩუმე და მდუმარება გამეფებულა თვით ისლთა შორისაც. მაგრამ წამოუბერავს ქარი, აათაბაშებს, აალივლივებს, ააზეირთებს წყალს; წყალიც გაექანება ლერწმის ტყისაკენ, შეკურება შიგ შეუ გულში გაშმაგებული, წასჩურჩულებს ლერწმას რაღაც ასილუმლოს და უკანასკნელიც შეიშმუშნება, შეირჩევა, თითქოს უსიამოვნოთ; აშრიალდება, ახმაურდება და ამ ხშაურობაში სევდაც არის და სიხარულიც, ნიღველიც და ნეტარებიც; ეს რაღაც საიდუმლო ხმა არის, წარსულ წელთა მონაბერი; ის ხმა, რომელიც ტბას გულში აქვს ლრმად და-მარხული, ჩახვეული, ლრმად ჩაყოლილი და რომელსაც დროებით ტალღათა შუამავლობით უზიარებს ოერწმის ტყეს, რა-თა უკანასკნელმა გადასცეს მსმენელს ეს დროებით გამუდა-ნებული საიდუმლოება.

ნეტავი რას მოგვითხრობს ლერწამი? რომელი ფურცე-ლია საქართველოს ფეროვან, სისხლით დაწერილ მატიანესი? ის რომელი: ქართველები ძველად დროებით სტეხდნენ მამა-პაპის ანდერძს, სტეხდნენ ფიც საერთო ტკბილ და ძმურ ცხოვრებისას; აღარაფერი ესმოდათ ურთი-ერთისა, ეურჩე-ექიშპებოლნენ ერთშანეთს და ხანდახან იმსაც კი უბედავდ-ნენ ერთი მეორეს.

ერთი ამისთანაომი, ღვიძლ ძმების ომი, ახსოეს ბაზალე-თის ტბას; ეს ომი მოხდა მის ჩრდილოეთ ნაპირზე და წით-ლად შეღება მისი მოყვითალო ფერიანი წყალი: ეს იყო ვიორგი სავაძის დროს, მეჩვიდმეტე საუკუნეში; აქ ომობ-დნენ ქართველები და კახელები; ქართლელებს სარდლობდა

ვამოჩენილი გმირი გიორგი სააკაძე და კახელებს — მეფე ფავსტიუსი მურაზი. სააკაძეს, როგორც კეშარიტ და ერის მთლიანობის მოყვარე მამულიშვილს არ სურდა ეს ოში და ამიტომაც თავის მაგიერ მეთაურობა თავის ჯარისა მიანდო დავით გოგო-რაშვილს, რომელიც იყო ჩამომავლობით მესხი და მასვე ჩაა-ცვა თვისი ტანთ-ხაცმელი; თვით-კი დარჩა ქარავში და მწი-რე ფიქრებს მიყცა, და მხოლოდ საქმე რომ ძალიან გაჭირდა, მაშინ როგორც იყო გაბეჭდი ოშში ჩარევა და თვის მოძმის-თვის მახვილის მოლერება. მა ბრძოლის თარიღი ჩვენ მატკა-ნები არ არის აღნიშნული; მხოლოდ არის გამოკვლეული, რომ ბაზალეთის ბრძოლა მთხდა მარაბდის ოშის შემდეგ, ხო-ლო უკანასკნელი იყო 1624 წელს.

სხვა რამეც ბეკრი ახსოვს ბაზალეთის ტბას; მის კიდევებ-ზე ბევრჯელ გაუვლია მტრის ლაშქარს; აუკარებია და მი-წასთან გაუსწორებია ირგვლივ მდებარე სოფელ-დაბები, გა-დაუწვე-გადაუბუგავს და ნაცარი ქარისათვის გაუტანებია; ხო-ლო მშრომელ, მუყაით და სამშობლო მიწა-წყლის მოყვარე და ერთგულ ქართველს კვლავ ჩაუდგამს სახლის საძირკვე-ლი, კვლავ აუშენებია თვისი ბინა, კვლავ აუგიზვიზებია კუ-რა და მისი სიმღერა კვლავ მოსდებია ბაზალეთის მიღიმოს, გაშლილს და ფართოს.

როცა საქართველოს გაუტანდებოდა და საკირო იყო მისთვის მეომარი, ბაზალეთის მხარე ყოველთვის დაუზოგვე-ლად სწირავდა სამშობლოს საკეთილდღეოდ თავის ერთგულ შეიიღებს. ბაზალეთის ლაშქარს თავის დროშიც ეხატა წმინ-და გრიგოლ ღვთის შეტყველი. პლატონ იოსელიანის სიტ-ყვით ეს დროშა რომელიდაც ბატონიშვილმა წაილო რუსეთში.

როგორც ნაწილი ქრისტიან საქართველოსი, ბაზალეთის მხარე, სამუხრანოსთან და საარაგვისთან ერთად, ეკუთვნი-და წილქნის საეპისკოპოსოს.

ეხლა ის მთები, რომელიც ბაზალეთის ტბას სამის მხრით არტყია, შემოსილნი არიან ტყით, რომელიც, რაც დრო გა-



დის, იქცება და ნადგურდება; წინად ეს ტყე უკრძალებული იყო და შიგ მრავალი ნადირი და ფრინველი ბუდობდა; წინად ტყე იყო აგრეთვე ტბის ახლო-მახლო მდებარე დაბლობებზე. აქეთ ხშირად სანადიროდ მოდიოდნენ ქართველი მეფეებიც. ამ ნადირობის შესახებ ხალხში არის დარჩენილი ძველი პატარა ლექსი:

„ჩევნ მეფეს გაუმარჯვნია  
გაზალეთისა ტბაზედა:  
მოუკლავს ხარი ირემი,  
ხელა ფურს მისდევს კვალზედა“ - თ.

სანადიროდ ამ ტბაზე ახლაც ხშირად დაიღრებიან: ნადირობენ მომეტებულად იხვებზე. ამ ტბაზე ბევრი სხვა ფრინველიც ბუდობს, მაგრამ იხვი მეტად ბევრია; როცა გაჟურებთ ტბის სარყის პირს, აქა-იქ ამჩნევთ შავ წერტილებს. ესენი არიან იხვები და, რაც უფრო ლერწამისკენ იხდებით, ეს შევი ლაქა-წერტილები უფრო ხშირია. იხვი უფრო ლერწმიან ნაპირებს ეტანება, რომ საშიშ შემთხვევის დროს თავი აღვილად შეაფაროს.

დასცურავს იხვი, სერავს ტბის ზედაპირს, მისცურავს ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, აპობს გულით წყალს, დროებით დაყურყუმელავდება, ჩაპყოფს წყალში თავს და ყირამალა კარგა ხანს სდგას, ეძებს საზრდო—საკვებს; იგდებს პირში რამე პატარა თევზს, ან მწერს, ამოჭყოფს თავს, მსხვერპლს მსწრაფლ გადასანსლავს და კელავ განაგრძობს უშუოთებლად წყლის ქელვას. ხან კისერს შეატრიიალებს: ზევით აიხედავს—მაღლიდან ხომ არ მოელის რამე ხიფათი.

მაგრამ აი საღმე მახლობლად გაისმა მონადირის თოფის ხმა; შესუოთდა მიდამო და შეშუოთდა ტბაც; დიოფთხირიალა მრავალმა იხვმა, დაპკრა ფრთა წყალს, ააშფოთა ტბა, ხმაურობით აავსო და მის პირზე გაკრული გაეშურა ლერწამისა-

კენ და მოეფარა მონადირის თვალს. ლერწამში იხტეს ჟავების მშენები გრძნობს; იცის, რომ სანდო აღვილას იმყოფება, იცის, რომ მისი სამშობლო—ლერწმის ტყე—მას არულალა-ტებს, შეუბრალებელ მონადირის წილად არ გახდის.

ზამთრობით წყალი ტბაში ითასში ერთხელ თუ იყინე-ბა სრულებით; ნაპირები იყინებიან ხშირად და შუა გული ისევ თვისეუფალია ზამთრის ყინულის ბორკილებისაგან; თუ რომელიმე ზამთრის ძალიან ციფა და ტბა სრულებით გაიყი-ნა, მაშინ იხევ სხვაგან მიპირინავს; ამ დროს ბაზალეთის იხეს ხშირად შეხვდებით მდინარე არაგვზე, რომელიც ტბის აღმო-სავლეთით არის, და მდინარე ქანძედაც, რომელიც ტბის დასავლეთის მხარეს ჩამოდის.

ბაზალეთის ტბის ახლო სკეოგრობდა ერთი კაცი, რო-მელსაც გაკეთებული ჰქონდა ნაეო და ამ ნაეით ხშირად და-სეირობდა და ნაღირობდა ტბაში, როგორც თითონ, აგრეთვე სხვებიც. ის კაცი სამსახურში იყო; ახლა სხვაგან გადაიყვა-ნეს; მისი ნაეო უპატრონოდ დარჩი, გაფუჭდა, და თუმც ახ-ლაც ისევ ტბის ნაპირას არის, მაგრამ უვარებისია და მითი ცურვა ფრიად სახიფათოა.

ბაზალეთის ტბაზე ხშირად შეხვდებით ლაფში—ტო-პიას: აგერ იგი ერთ ნაპირას სდგას, აყლარწული, ჩხირის ფეხებით, აულერია კისერი მაღლა და აქეთ-იქით იცემირება, თითქოს ტბის ბატონ-პატრონობა მისთვის ჩიებარებინოთ და ისიც გულმოლგინეთ თვალყურს აღვენებს ტბას, რომ იქ რა-მე უწესობა არ მოხდეს რა. სასტიკია ლაფში-ტოპია, სასტი-კია, და ვაი იმ ბაყაყს, რომელიც გაპეტედავს და მიუახლოვდება მას; იგი უეპველად მისი წერა გახდება. საზრდოს მხრივ ლაფ-ში-ტოპია არ უნდა იყვეს ბედის უმაღლერი; რაღვანაც ტბაში ბეკრი თევზია, მრავალი ბაყაყი და უთველივი მწერი. აი მოს-წყინდა ლაფში—ტოპიას ერთ აღვილას დგომა და ნაღირობა, გაშალა თვისი გრძელი ფრთები, გაეკრა ტბის პირს და ვას-

წია სხვა ნაპირისკენ; მიპირინავს და უშნოდ მიათტეჭულებულ ფეხებს.

როგორც ზევითაც ვსთქვი, წყალი ბაზალეთის ტბაში მოყვითალო ფერის არის; გემოთი მომეჯოა, მომწარე, ეტ-ყობა წყალს ურევია მაგნეზია. ტბის ძირიც ყვითელი ფერისაა; წყალი სუფთაა, გამკვირვალე და ტბის ძირი მშევნივრად სიანს, მეტადრე საცა წყალი თხელია; ძირი ტალახიანია, რომელშიც ურევია ქვები; როცა კაცი ფეხს დაადგამს, ნიადაგი ნელ-ნელი დაბლი იწევს და ისეთი შემბეჭდილობას სტოვებს, თითქოს ეს არის სულ მთლიად ჩიტოლობოდეს. როცა ფეხს აკერთ ნიადაგს, წყლით გაეღლნთილ ძირიდან აშორიბიან ჰაერის ბურთები.

ზაფხულობით წყალი ტბაში ძალიან თბება; წყალი იქ რაღა თქმა უნდა უფრო თბილია, ვიდრე მდინარეში, და ამიტომ იქ ბანაობა სისიმონია არის. ახლო-მახლო სოფლებიდან ბიჭები ხშირად დაიარებიან ტბაზე საპანაოდ.

გაზაფხულობით ხშირი წვიმების დროს ტბა მატულობს, იზრდება; ნაკადულებიც, რომელნიც შემოხვევიან ბაზალეთს, გაზაფხულობით იზრდებიან, მატულობენ და ტბას ჰმარებენ წყალს. ტბაში არცერთი ცოტად თუ ბევრად მოზრდილი წყალი არ ჩადის; არამედ სულ პატარა ნაფადები.

ბატონიშვილი ვახუშტი რომ ამბობს ამ ტბაზე—უსარგებლოათ, ეს შეიძლება იმ მხრივ იყვეს მართალი, რომ ეს წყალი არც დასალევად იხმარება და ერთი მტკაველი მიწაც არ იჩწყევის მის წყლით.

ერთმა სოფელმა, რომელიც ტბის ახლო მდებარეობს, მოინდომა ამ ტბიდან წყლის გაყვანა ადგილ-მამულის მოსარ-წყავად. გათხარეს რუ. წყალი ჯერ მიღიოდა, მაგრამ ბოლოს დადგა, განერდა; რუს გათხრა ღრმად სკირდებოდა და სოფელმა ვერ შესძლო; ამიტომ შემდეგ თხრას თავი დაანებეს; რაც შეეხება ახლო-მახლო სოფლების საქონელს, და მეტადრე კამეჩებს, ისინი ძალიან მადლიურნი უნდა იყვნენ

ამ ტბის, რაღაც ზაფხულის სიცხვეში ბაზალეთის მატერიალურად მწოდებელი დიდ სიამოქნების ჰერმონბენ.

ბაზალეთის ტბის ნაპირები ეკუთვნიან ორ გვარეულობას: შებურიშვილებს და კობიაშვილებს; ისინი იქვე ახლო შახლო მცენარე სოფლებში მოსახლეობენ.

სილრმე ბაზალეთის ტბის უველი იდგილის ერთი არ აქვს; ზოგან დიდია, ზოგან პატარა; საერთოდ ნაპირებთან პატარაა, და რაც შემ გულს უახლოედდება, უფრო ღრმავდება. დანამდვილებით არ არის გამოკვლეული სილრმე ბაზალეთის ტბისა, რაღაც არავის გაუზომნია იგი, რაც არც ისე მნელია; მაგრამ ტბა არ უნდა იყენეს ძალიან ლრმა, რასაც მოწმებს ნაპირის მოყვანილობა და მდგომარეობა; თუმც იქვე შეხოვჩებ გლეხებს რომ პეტოთ, იტყვიან, რომ უძირო არის; იმასაც ამბობენ, ვითომ ბაზალეთის ტბას და ყოლის ტბას, რომელიც მდგომარეობს მდინარე ქსნის სათავეში, ძირი ერთი აქვთო.

ხალხში არსებობს ერთი თქმულება, ზღაპარი: ვითომ ბაზალეთის ტბის შახლობლად ერთი ვლეხი ხნავდა მიწას; ამ ტბაში თურმე ყოფილი ერთი დევი, რომელიც მის ნაპირებს ეპატრონება თურმე. და როდესაც ვლეხი მის კუთხინილ მიწას ხნავდა, მოვარდა ეს დევი წყლიდან, სტაცა ხელი მთელ გუთნეულს, მოიტაცა, წაათრია და წყალში ჩიტანით. შემდეგ ამ გუთნეულის უდელი და ტაბიკები ყოლის ტბაში ენახათო.



ბაზალეთის ტბის ირგვლივ მდებარეობენ სოფლები: ბაზალეთი, საშაბურო, მლაშე, ქედი, საკრამულო, ლაზიანი და სხვები. უველაზე დიდი სოფელია ბაზალეთი. ამ სოფელში, რომელიც ტბის ჩრდილოეთით სდევს, არსებობს საამხანავო საგაჭრო და პირველ-დაწყებითი სასწავლებელი, სადაც ვლეხის პატარა ბავშვები დაიირებიან და სწავლობენ სამშობლო ქართულ ენას, რომ პატიოსანი კაცები გამოვიდნენ, მშობლების პატივისცემელნი და ერთი სასაჩვებლონი. ამ სოფელ-

ში ბევრი ციხე-კოშკებია. აგრედვე ბევრი ისტორიული ქაფ-  
თებია იმ მთებზე, ტბას ირგვლივ რომ არტყავან.

აღმოსავლეთით ბაზალეთისა თეთრად მოიკლავნება სა-  
კართველოს სამხედრო გზა, რომელიც აერთებს ჩვენ სამშობ-  
ლოს რუსეთთან; ეს შესანიშნავი გზა არის, როგორც ნაკე-  
თობით, აგრედვე ისტორიულადაც: საქართველოს რუსეთთან  
შეერთების პირველ ხანაში ეს ერთად-ერთი გზა იყო, რომე-  
ლიც ამ ორ ქვეყნის აერთებდა; ახლა ამ გზით ბევრი საქო-  
ნელი მოაქვთ რუსეთიდან, როგორც სავაჭროდ, აგრედვე  
საომარ საჭიროებისათვის.

ბაზალეთის ტბის სიახლოებებს არის ქალაქი დუშეთი; ეს  
არის პატარა სამაზრო ქალაქი; მდებარეობს ხევის წყალ დუ-  
შეთურის მარცხნა ნაპირზე, და თუმც შეგნით მოუწყობე-  
ლია, მაგრამ შორიდან, მეტადრე ზაფხულობით, ლამაზი შეხე-  
დულობა აქვს.

o. ხუციშვილი





# გასართობი

## პელი ამშევი

(გაგონიდა სოფ. ქურთაშვი ად. კურემიძისაგან)

მეფე ერეკლე II ეწვია ქართლში, სოფ. შევშებში, ერთ  
შეძლებულ ოჯახს, რომელიც ძალიან გულუხვად და პურა-  
დად დაუზედა მის და მის დიდ ამაღლას.

ნადიმობის დროს მეფემ ჰყითხა მასპინძელს: გლეხი ხარ,  
თუ აზნაურობ:

მასპინძელი მიეიღდა მეფესთან, დაიჩოქა მის წინ ცალი  
მუხლით და მოახსენა:

„განა არ იცი, ბატონო,  
კევრნა დიღი მთა არი,  
ათი-ათასი ცხვარი მყავს,  
ბერწი და კრავი სხვა არი  
ექვსასი ფურ-კამები მყავს,  
ზექი და ბუღა სხვა არი;  
ორასიც მაწველი ფური,  
ხბო და მოზევრი სხვა არი.  
თუ კაცი თვითონ არ ვარგა,  
აზნაურობა რა არის“—თ.



მე-10 №-ში მოთავსებულ კ. მოყანების და რებუსის ახსნა.

1) კუ, 2) ეროვნლინი, 3) ათასაზ გურია ჭავასდა ათის  
ათასად ზრდილობა, თუ კაცი თვითონ არ ვარგა ცალი გვა-  
რი შეიღობა.

რედაქტ. ნინო ნაკაშიძე.

გამომუ. მ. 3. ს. მუმანი შეიღო.



მ საქართველოს მთავრობა 1917 წლის მიერადმისამართის  
მიერადმისამართის მინისტრის მიერადმისამართის მინისტრის

მთავრობის მინისტრის მიერადმისამართის მინისტრის მინისტრის

# „სახალხო ფურცელი“

სურათებიანი დამატებით წელიწადში 15 მანეთი ღირს.

ნახევარი წლით 8 მანეთი, სამი თვით 5 მანეთი.

წლიური ფასის შემოყვანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერის დროს 7 მან. პირველ აპრილისთვის 4 მანეთი და 1 აგვისტოსთვის 4 მანეთი.

კანტორა ხელის მოწერისათვის ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადლევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე.

რედაქტიის მისამართი: ტფილისი, „სახალხო ფურცელი“  
სასახლის ქუჩა № 6 თიფლის, რედაქტორი „Сахалхо Пурцели“  
იუ. იშ. 190.

„სახალხო ფურცელი“-ში მონაცილეობას 0 ლირა:

აბაშიძე გირი, აბაშიძე ქოქი, აბაშიძე მემედ, აბესაძე ავ., აგლაძე ი.,  
აზანი ნ., ავერაძე იას., ბებიაშვილი რომ., ბერიძე გვერდ, ბერ-  
განიშვილი იოს., ბერეჟისანი გრ., გოგოლაშვილი ი., გაფანი სამ.,  
დებროვესკა ნ., თავაიშვილი ექ., გოგიაშვილი გას., დასხიშვილი  
გ., დადიძე გრ., მავრი, მეგრელი დუბუ, მარიანიშვილი პ., რო-  
ბაქიძე გრ., მაჭავა აკ., რაჭელი ქრ., რეზილიაძე გრ., სიტევა, სან-  
განიძე, უზნაძე დ., ფანცსავა ი., ფადავა აკ., ღლიანტი თ., ვაფ-  
შიძე ი., წერეთელი ალ., ჭუშმურიძე გ., პრ.-დ. ჭავახიშვილი ივ.,  
ჭანელიძე ალ., ჭავახიძისა თეოდოსია, ჭავახიშვილი არ., და სხვა.  
დამატებაში. ბარნევი, ბაჩანა, გრიშაშვილი ი., გადიანი შოთა,  
განგელი დ., მგაღლიაშვილი ს., მდვიმელი შ., მუედლიშვილი ი.,  
რაზიკაშვილი თ., სიღოვანი, ფამალიშვილი ს., ქიმელი ლეთ, ჭა-  
ვინაძე გ., ჭეშმაძე ა., ჭორჭივა ჭ., და სხვა.

დასურათებული საყმაწვილო ეკურნალი



# წელიწადი „ნაკადული“ წელიწადი შეცამები.

გურინალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივა პროგრამით, საგანგე-  
ბოდ მოწვევულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

შუალედი გამოცემის თავმჯო ღრუჟელ

**24 წიგნი „ნაკადულისა“ 12 წიგნი „ნაკადულისა“**  
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გა-  
მოწერილ შხატვართა ნახატი.

ფასი გურინალის: წლიური თარიებე გამოცემა—5 ბან.—იმით-  
თვის, ვაინც ეურნალს რედაქტური მოიკითხავს, ვაგზავნით კი 6 ბან.  
ნიხვარ წლით—3 ბან. გაგზავნით—3 ბან. 50 კა. ცალ-ცალკე:  
მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 ბან. გაგზავნით—3 ბან. 50 კა.  
მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 ბან. გაგზავნით—3 ბან. 50 კა.  
ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილითაც.

ესთხოვთ ხელის მომწერლებს, თუ გურინალი „ნაკადული“ არ  
მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და აღრესის გამო-  
ცვლა დროზე შეგვატყობინონ. აღრესის გამოსაცვლელი—40 კ.  
შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

## ხელის მოწმია მიმღება

თბილისში — „ნაკადულის“ რედაქტურაში, ზუბალაშვილის სახლი,  
გოლოვინის პროსპ. № 8. რედაქცია „Накадули“, Головинскій пр. № 8.  
შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. წერილი გამავრცე-  
ლებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; ქუთაის-  
ში—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრი-  
შვილთან. ფოთში—ლუდმილე მეგრელიძესთან. ბათოში—ტრი-  
ფიმ ინისარიძესთან ფოსტაში, დ სამსონ ყაზაიშვილთან —ქალაქის  
გამცემბაზი. თელავში—ვანო პაატაშვილთან. ახალციხეში—ქონ-  
ტიანტინე გვარიშვილესთან. ბაქოში—მეთოდე კაკაბაძესთან. გორ-  
ში—ქეთევინ ჯავახიშვილთანდანის ლომოურთან. ჭიათურაში—ივ.  
გომელაურთან. ხონში—ვ. ი. ქავქანიძესთან. მიხაილოვიში—გი-  
ორგი ნევაშიძესთან.

რედაქტორი ნინო ნაევშიძე

გამომკერდებული შ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.